



პ ი ო ნ ე რ ი

№ 10 ოქტომბერი 1948


გამომცემლობა

„კ მ უ ნ ი ს ტ ი“

საპარტვილოსალკ ცენტრალური კომიტეტის
შოველთვიური საბავშვო შურონალი

წელიწადი XXIII

П И О Н Е Р И Ежемесячный детский журнал Центрального Комитета ЛКСМ Грузии
(на грузинском языке)



კომკავშირის XXX წლისთავის აღსანიშნავად თბილისის ვაჟთა მე-20 საშუალო სკოლის VII კლასის მოსწავლეებმა რევაზ მიქაძემ და რაულ წერეთელმა დაამზადეს სახაზო გემი „პიონერის“ მკეტო.

ფოტო რ. აკოფოვისა



4570

პიონერების სიმღერა

ჩვენ ღენინის დიდი აზრით
და სტალინის შუქით გვზრდიან,
საბჭოეთის დიად ქვეყნის
ნორჩ ყვავილებს გვეძახიან.

ღირსი ვიყოთ ჩვენი ხაღხის,
ჩვენი ქვეყნის მთა და ველის,
ამით ვსუნთქავთ საბჭოეთში
ყველა ნორჩი ღენინედი.

ჩვენ მზრუნველად პარტია გვყავს
და გამზრდელად მისი შვიდი—
ღენინური კომკავშირი,
სტალინური კომკავშირი.

ჩვენ მზრუნველად პარტია გვყავს
და გამზრდელად მისი შვიდი—
ღენინური კომკავშირი,
სტალინური კომკავშირი.





საქონალი
თეზისური-სტატიური
კომკავშირის!

პიონერის ნაცვრა

ჩემი ოცნება ის არის,
სწავლაში ვიყო ზირველი:
ნაცრისფერ ბილეთს ვეღირსო—
დამერქვას კომკავშირელი.

სიძარტლის გზასე ვიარო,
ცოდნის მწვერვალებს აწვდებოდე,
რომ ვიამაყო წარსულით
და მოძავალით ვტკებოდე;
რომ ვასახელო სამშობლო
გმირობით, გამბედაობით
და ღირსეული ცვლა ვიყო
ჩემი უფროსი თაობის.

ჩემი ოცნება ერთია—
სწავლაში ვიყო ზირველი,
ნაცრისფერ ბილეთს ვეღირსო,
დამერქვას კომკავშირელი.

4570

მ. შიშკაძე



სახელმძღვანელო გზა

ლენინურ-სტალინურ კომკავშირის არსებობის 30 წელი შეუსრულდა. ამ ხნის განმავლობაში კომკავშირი გაიზარდა და დავაჟეცდა, პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა სახელმწიფოს ძლიერებისათვის სახელგონად იბრძოდა და შრომობდა,—დღეს იგი იუბილარია. პარტია, ხელი-სუფლება, გმირი საბჭოთა ხალხი ალტაცებით ზეიმობს კომკავშირის არსებობის 30 წლისთავს. თვითონ კომკავშირი სიხარულით ღებულობს ამ დიდ პატივისცემას, რადგან მან ეს ღირსეულად დაიმსახურა.

კომკავშირი საბჭოთა ქვეყნის ვარიჟრაჟე —სამოქალაქო ომის ქარიშხლიან დღეებში, 1918 წლის ოქტომბერში დაიბადა. მასში მტკიცედ შეკავშირდა სოციალისტური რევოლუციის განარჯვებისათვის მებრძოლი ახალგაზრდობა. დიდი ლენინისა და დიდი სტალინის ნათელი რევოლუციური იდეებით გონებაგახსნილი და გულანთებული კომკავშირული ახალგაზრდობა გვერდში ამოუდგა კომუნისტურ პარტიას, როგორც სახელგონანი შვილი სახელოვან მამას. მტრებთან შეტაკების პირველ დღეებიდანვე კომკავშირმა პარტიისა და მშრომელთა საყოველთაო სიყვარული დაიმსახურა. იგი პარტიის ხელმძღვანელობით მებრძოლთა მეწინავე რიგში ჩამდგარი შეუპოვრად ებრძოდა საბჭოთა ხელისუფლების მტრებს—თეთრგვარდიელებსა და უცხოელ ინტერვენტებს.

დაიწყო სოციალისტური წყობილების მშენებელი სტალინური ხუთწლედები. კომკავშირი ამ ხუთწლედების დიად გეგმათა გადაჭარბებით შემსრულებელთა პირველ რიგში იდგა.

დაუვიწყარია ლენინურ-სტალინური კომკავშირის საბრძოლო დამსახურება 1941-45 წლის დიდ სამამულო ომში. ფრონტზე და მტრის ზურგში, გერმანულ ფაშისტურ ურდოების შესამუსრად ათასობით კომკავშირელები გმირული შეუპოვრობით იბრძოდნენ. ბევრმა მათგანმა თავისი გმირობით თავისი სახელი უკვდავყო. მთელი საბჭოთა ხალხისათვის, ახალგაზრდობისათვის დიდების შუქით მოსილია ზოია კოსმოდემიანსკაიას, ოლეგ კოშევოის, იური სმირნოვის, საშა ჩეკალინის და სხვა მრავალთა სახელები.

დღეს კომკავშირი ომისშემდგომი სახალხო მეურნეობის მშენებელთა პირველ რიგშია. მზიური შრომის ფრონტზე ბევრმა კომკავშირელმა თავი ისახელა და მათგან რჩეულებმა სოციალისტური შრომის გმირის საპატიო სახელწოდება მოიპოვა.

ლენინურ-სტალინური კომკავშირი თავისი საბრძოლო და შრომითი დამსახურებისათვის საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაჯილდოებულია ლენინის ორდენით, წითელი დროშის ორდენით და შრომის წითელი დროშის ორდენით.

კომკავშირი მოწინავეა არა მარტო ბრძოლასა და შრომაში, არამედ კულტურის ფრონტზეც, სკოლებსა და ინსტიტუტებში მეცნიერების დაუფლების საქმეში.

მის მილიონიან რიგებში მიილტვის ყველა მოწინავე მუშა ახალგაზრდა, მოსწავლე და სტუდენტი, ყველა მოწინავე პიონერი, რის გამო კომკავშირი კიდევ უფრო იზრდება და ძლიერდება.

სახელოვანმა კომკავშირმა ბრძოლისა და შრომის გრძელი და მრავალფეროვანი გზა განეწყო. ამიტომაც თავის საზეიმო დღეებში კომკავშირი სიამაყის გრძობით დგება თავისი აღმზრდელი კომუნისტური პარტიისა, საბჭოთა ხელისუფლებისა და გმირი საბჭოთა ხალხის წინაშე. ნორჩი პიონერები თავისი უფროსი ამხანაგისა და ხელმძღვანელის—კომკავშირის სახელოვან იუბილზე დროშებითა და თაივლებით მწყობრად მოდიან, რათა სამშობლოს წინაშე კომკავშირის დამსახურების გამო თავისი დიდი ალტაცება გამოხატონ. ამ ზეიმზე საბჭოთა ხალხის სიხარულს ლენინ სტალინის საქმისათვის საბრძოლველად მზადყოფი პიონერები თავის საზეიმო ხმასა და ტაშს უერთებენ.



დავრენტი ბერიას პიონერებისაგან

შენს საყვარელ საქართველოს
შენი ფიქრის შუქი შვენის,
მებრძოლო და მშენებლო,
არ გვაკლია ზრუნვა შენი.

ჩვენთვის ბევრი კარგი სთესე,
ცოდნისათვის მოგვეცა ძალა,
შენ გვასწავლე, რომ მოწაფის
გმირობაა ხუთზე სწავლა.

ჩვენ ეს სიტყვა მუდამ გვახსოვს,
დაგვაწაფა ცოდნის წყაროს;
მუდამ ვცდილობთ კარგი სწავლით,
კარგი საქმით გაგახაროთ;

ვიყოთ მუდამ ქების ღირსი,
უბრწყინავდეს თვალი ღედებს
და ყოველთვის კომკავშირი
აღტაცებით კარს გვიღებდეს.



პიონერები კომკავშირის ცვლა

კომკავშირი, რომელიც ლენინის და სტალინის მიერაა შექმნილი, ბოლშევიკური პარტიის ერთ-ერთი უახლოესი თანამემწეა.

კომკავშირს ყოველდღიურად ზრდის, ავაყვავებს ბოლშევიკური პარტია. მხოლოდ და მხოლოდ ბოლშევიკური პარტიის ყოველდღიურმა ყურადღებამ, დიდი სტალინის მამობრივმა მხრუნველობამ და მისმა უსაზღვრო სიყვარულმა საბჭოთა ახალგაზრდობისადმი გამოიმუშავა თითოეულ ახალგაზრდამი დიდი შემოქმედებითი ძალა.

კომკავშირი საქმით პასუხობს ბოლშევიკური პარტიისა და დიდი სტალინის ზრუნვასა და სიყვარულს, იგი სახელოვნად ასრულებს მის წინაშე მდგომ ამოცანებს.

ბოლშევიკურმა პარტიამ ლენინურ-სტალინურ კომკავშირს დაავალა ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის უშუალო ხელმძღვანელობა. კომკავშირი არც აქ ზოგავს თავის ენერგიას ბავშვთა კომუნისტურად აღზრის სწორად მოწყობის უზრუნველყოფისათვის და უდიდესი მონდომებით ამზადებს თავისი რიგების ღირსეულ ცვლას.

გახდეს კომკავშირელი—თითოეული პიონერის ოცნებაა, რომლის განხორციელებისათვისაც იგი ამზადებს თავის თავს პიონერთა ორგანიზაციაში მისი შესვლის პირველსავე დღეებიდანვე.

კომკავშირელში პიონერი ხედავს არა მარტო თავის უფროს ამხანაგს, არამედ ჩვენი სოციალისტური სამშობლოსათვის ზავდადებულ საბჭოთა ახალგაზრდობის მოწინავე წარმომადგენელსაც.

ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით, ლენინურ-სტალინური კომკავშირის მიერ განვლილი შრომისა და ბრძოლის გმირული გზა — პიონერისათვის წარმოდგენს ჩვენი ხალხისა და სამშობლოსადმი სამსახურის სწავლების საუკეთესო სკოლას.

პიონერი მომზადებული რომ მოვიდეს კომკავშირში, უპირველესად ყოვლისა საჭიროა კარგად ისწავლოს. საჭიროა ერთ წუთსაც არ დაივიწყოს, რომ იგი სკოლაში და პიონერთა ორგანიზაციაში იღებს ჩვენი საბჭოთა მოქალაქის, კომკავშირელის, კომუნისტის დამახასიათებელ პირველ, ძირითად ჩვენებს. სკოლაში და პიონერთა ორგანიზაციაში პიონერი ისწავლობს სამშობლოსადმი სიყვარულს, მტრებისადმი სიძულვილს.

ყველგან და ყველა საქმეში ინიციატივის გამოჩენას, უფროსებისადმი პატივისცემასა და დანხარებას, შრომისმოყვარეობას, პირდაპირობას, სიმამაცეს, გამბედაობას, დაბრკოლებების გადალახვას და სხვ.

საკ. ალკვ ცენტრალური კომიტეტის XII პლენუმმა პიონერთა რაზმეულებს უფლება მიანიჭა კომკავშირში შესასვლელად რეკომენდაცია მისცენ საუკეთესო პიონერებს, რომლებმაც 14 წლის ასაკს მიაღწიეს. რაზმეულის რეკომენდაცია ეთანაბრება საკ. ალკვ ერთი წევრის რეკომენდაციას. ეს მნიშვნელოვანი მომენტია პიონერთა ორგანიზაციის ცხოვრებაში, რომელმაც პიონერთა რაზმეულს ამ დიდ უფლებასთან ერთად დიდი მოვალეობაც დააყენა. პიონერთა ორგანიზაციამ თავის რიგებში უნდა აღზარდოს მომავალი კომკავშირელები, უნდა ჩაუტერგოს მათ ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მოწინავე ახალგაზრდობისათვის დამახასიათებელი პირველ-დაწყებითი ჩვევები.

პიონერები სიხარულით ეგებებიან თავისი მოწინავე ამხანაგების კომკავშირის რიგებში მიღებას. მარტო გასულ სასწავლო წელს საქართველოს პიონერულმა ორგანიზაციებმა მოამზადეს და მისცეს რეკომენდაცია კომკავშირში შესასვლელად 17.376 მოწინავე პიონერს.

საკ. ალკვ ც. კ-ის ბიურომ თავის 1947 წლის 13 მარტის დადგენილებით დაავალა კომკავშირულ ორგანიზაციებს ჩაბან უფროსი ასაკის პიონერები სკოლების კომკავშირული ორგანიზაციების აქტიურ მუშაობაში, მისცენ მათ საზოგადოებრივი დავალებანი. ამავე დადგენილებით კომკავშირული ორგანიზაციები მოვალენი არიან მიაწვიონ უფროსი ასაკის პიონერები კომკავშირულ კრებებზე.

ეს მნიშვნელოვანი ღონისძიება დაეხმარება პიონერებს გაეცნონ კომკავშირის მუშაობის შინაარსს, ისწავლონ კომკავშირული მუშაობის ფორმები და მეთოდები, მოემზადონ კომკავშირში შესასვლელად. პიონერორგანიზაცია, პიონერხელმძღვანელი და თითოეული კომკავშირელი უნდა დაეხმაროს პიონერს გახდეს ღირსი ატაროს ლენინურ-სტალინური კომკავშირის მაღალი წოდება.

ოთარ ნემსაძე

საკ. ალკვ ც. კ-ის მოსწავლე ახალგაზრდობისა და პიონერთა განყოფილების გამგის მოადგილე



ნ. ა. მიხაიდზე
საკ. აღკვ
ცენტრალური კომიტეტის
მდივანი



ბორის ძუღრაძე
საქართველოს კომკავშირის ერთ-ერთი
დამაარსებელი

კომკავშირი სოციალისტურ მშენებლობაში



მშენებელი, ლამაზი, მდიდარი და მძლავრია ჩვენი საყვარელი სამშობლო. უზარმაზარი ფაბრიკები და ქარხნები, საბჭოთა და კოლექტიური მეურნეობები არაჩვეულებრივ სიხარულსა და აღფრთოვანებას იწვევს თითოეულ ჩვენთაგანში. საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის, ჩვენი კულტურის დარგში მოპოვებული უდიდესი წარმატებები სიამაყის გრძნობით აღაფხვბს ყველა საბჭოთა ადამიანს გულს. ასეთ უდიდეს მიღწევებს ჩვენმა ხალხმა სულ მოკლე დროში, რამდენიმე წლის განმავლობაში მიაღწია ბოლშევიკური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით. კაცობრიობის ისტორიამ არ იცის მეორე ასეთი მაგალითი.

ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მეურნეობისა და კულტურის განვითარების საქმეში, სამშობლოს თავდაცვის ძლიერების განმტკიცების დარგში ახალგაზრდობის ლენინურმა კომუნისტურმა კავშირმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. სოციალისტური მშენებლობის ყველა უბანზე, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში კომკავშირი ინიციატივასა და თაოსნობას იჩენდა, თავგამოდებითა და ერთუზიანებით იბრძოდა. კომკავშირმა თავისი მრავალფეროვანი და შინაარსიანი მოღვაწეობით დაამტკიცა, რომ იგი ბოლშევიკური პარტიის უახლოესი თანამშემწე და საიმედო რეზერვია. „კომკავშირი, — ამბობს ამხანაგი სტალინი, — ყოველთვის იყო ჩვენი მეზობლთა პირველ რიგებში. მე არ მახსოვს შემთხვევა, რომ იგი ჩამორჩენოდას ჩვენი რევოლუციური ცხოვრების ამბებს“.

დიდი როლი შეასრულა კომკავშირმა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეში.

1925 წლის დასასრულს საბჭოთა ქვეყანამ აღადგინა ომით დაზარეული სახალხო მეურნეობა, რომელიც ომამდელ დონეს მიუახლოვდა. მაგრამ ომამდელი რუსეთი ხომ ყველაზე ჩამორჩენილი ქვეყანა იყო. მეურნეობის მაშინდელი დონე საბჭოთა ხალხს სრულიადაც არ აკმაყოფილებდა.

1925 წლის დეკემბერში ჩატარდა ბოლშევიკური პარტიის XIV ყრილობა. ყრილობაზე დიდმა სტალინმა პარტიისა და საბჭოთა ხალხის წინაშე დასახა ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის დიდი გეგმა. ჩვენი ქვეყნის გადაქცევა აგრარულიდან ინდუსტრიულ ქვეყნად — აი ასეთი გრანდიოზული ამოცანა წამოაყენა მაშინ ამხანაგმა სტალინმა. დიდი სტალინის მიერ დასახული ამოცანა პარტიამ და საბჭოთა ხალხმა მიიღო, როგორც სამოქმედო პროგრამა.

სოციალისტური მრეწველობის, კერძოდ მძიმე მრეწველობის განვითარების გარეშე ჩვენს ქვეყანას დალუბვა მოელოდა. მძიმე მრეწველობის — მეტალურგიული, მანქანათმშენებლობის, ნავთის, ქვანახშირის მრეწველობის განვითარების გარეშე არ შეიძლებოდა ქვეყნის ჩამორჩენილობის მოსპობა, მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნა, ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობის შენარჩუნება, მისი თავდაცვის უნარიანობის განმტკიცება. უნდა შექმნილიყო მრეწველობის ახალი დარგები, აგებულიყო უზარმაზარი ფაბრიკები და ქარხნები, ელექტროსადგურები, აგებულიყო ათასობით კილომეტრების მანძილზე რკინიგზების ხაზები და სხვ.

პარტიის მტრები, ხალხის მტრები ხელს უშლიდნენ ამ დიდი ამოცანის განხორციელებას. ისინი წინააღმდეგნი იყვნენ სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა, მათ სურდათ ჩვენი სამშობლო კვლავ ჩამორჩენილი ყოფილიყო, ისინი მიისწრაფოდნენ ჩვენს ქვეყანაში კაპიტალიზმის ბატონობის აღდგენისაკენ. პარტიამ გაანადგურა ხალხის მტრები. მშრომელი ხალხი მჭიდროდ დაირაზმა ბოლშევიკური პარტიის, დიდი სტალინის გარეშე და უჩვეულო შრომითი ერთუზიანობით შეუდგა სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის გეგმის განხორციელებას. იგი ქმნიდა თავის მძლავრ მრეწველობას საკუთარი სახსრებით, გარედან დახმარების გარეშე.

კომკავშირელები, როგორც წინათ, სამოქალაქო ომისა და სახალხო მეურნეობის


აღდგენის წლებში, ისე ახლაც, მოწინავეთა რიგებში ჩადგნენ, შრომითი გმირებისა და მამაცობის მანამდე გაუგონარ მაგალითებს იძლეოდნენ. ისინი ზრდიდნენ შრომის ნაყოფიერებას, ეწეოდნენ უდიდეს ეკონომიას, დაუნდობლად ამხელდნენ და ებრძოდნენ ზარბაცებს, შრომის დეზერტირებს, საზოგადოებრივი ქონების გამინავებლებს. კომკავშარის ინიციატივით დაიწყო რაციონალიზატორთა მოძრაობა. ახალგაზრდობა თავისი რაციონალიზატორული წინადადებებით აუმჯობესებდა წარმოების პროცესებს, ამალელებდა შრომის ნაყოფიერებას.

კომკავშირელები იყვნენ წარმოებაში დამკვერელი ბრიგადების შექმნის ინიციატორები. პირველი ასეთი ბრიგადა შეიქმნა კომკავშირელთა თაოსნობით ლენინგრადის „კრასნი ტრეუგოლნიკის“ ქარხანაში. ბრიგადის წევრებმა შრომითი სასწაულები გვიჩვენეს. მკვეთრად გადიდდა პროდუქციის გამოშვება, შემცირდა წუნდებული საქონლის გამოშვება, საგრძნობლად გაუმჯობესდა ხარისხი, დიდად გაიზარდა მუშათა ხელფასი. დამკვერელი ბრიგადები შემდეგ წარმოიშვნენ ლენინგრადის, მოსკოვის, ურალისა და დონბასის სხვა მოწინავე საწარმოებში. ეს იყო დიდმნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, იგი შრომისადმი შეგნებულ, სოციალისტური დამოკიდებულების ბრწყინვალე მაგალითს წარმოადგენდა.

1928 წლის მაისში ჩატარდა კომკავშირის VIII ყრილობა, რომელმაც უაღრესად აქტუალური საკითხები განიხილა. ყრილობამ და-

სახა ღონისძიებები სოციალისტური მრეწველობის განვითარებისა და სოფლის კოლექტივიზაციისათვის ბრძოლაში კომკავშირის, ახალგაზრდობის მონაწილეობის შესახებ ყრილობის უდიდესი მნიშვნელობა ეტყობოდა მდგომარეობს, რომ მის უკანასკნელ სხდომაზე ისტორიული სიტყვით გამოვიდა ჩვენი მამა და მასწავლებელი დიდი სტალინი. ამხანაგმა სტალინმა თავის ბრძნულ სიტყვაში კომკავშირს, ახალგაზრდობას ერთ-ერთ საბრძოლო ამოცანად დაუსახა — დაეუფლოს მეცნიერებას. „დაეუფლოთ მეცნიერებას, გამოცქედოთ ბოლშევიკ-სპეციალისტთა ახალი კადრები ცოდნათა ყველა დარგში, ვისწავლოთ, ვისწავლოთ, ვისწავლოთ ფრიად შეუბოვრად“. — მოგვიწოდებდა დიდი ბელოდი თავის გამოსვლაში. ამხანაგ სტალინის სიტყვა კომკავშირის, საბჭოთა ახალგაზრდობის სამოქმედო პროგრამა გახდა.

1929 წელს ჩვენი ქვეყნის მშრომელები დამაბული ენერჯით შეუდგნენ პირველი სტალინური ხუთწლიედიისათვის ბრძოლას. კომკავშირელები თავიანთ ძალ-ღონეს დაუზოგავად ახმარდნენ დიადი სტალინური გეგმის ვადამდე შესრულების საქმეს. 1929 წლის თებერვალ-მარტში კომკავშირი გამოვიდა სოციალისტური შეჯობრების ინიციატორად. პარტიამ მოიწონა და მხარი დაუჭირა კომკავშირის ამ თაოსნობას. მალე სოციალისტურ შეჯობრებაში ჩაებნენ არა მარტო კომკავშირელები და ახალგაზრდობა, არამედ მუშათა მრავალმილიონიანი არმია. სოციალისტური შეჯობრების მძლავრი ზვირთები მთელ ჩვენს ქვეყანას ნოედო. არ არის ქვეყნის არც ერთი კუთხე, სადაც კომკავშირელებს არ უმუშავნიათ. ყველა გადამწყვეტ უბანზე, იქ სადაც დიდი სიძნელებები იყო, პირველად კომკავშირელები მიდიოდნენ. ურალის მთებსა და ვოლგის სანაპიროებზე, დონის სტებებსა და ციმბირის ულრან ტყეებში, ყველგან, სადაც მშენებლობა დულდა და გადმოდულდა, კომკავშირელები თავდადებულად შრომობდნენ, სამშობ-



ლოსადმი, პარტიისადმი უსახლვრო სიყვარულისა და თავდადების უბაღლო მაგალითებს იძლეოდნენ. 1929 წელს სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის მშენებლობაზე კომკავშირმა 7 ათასზე მეტი კაცი გაგზავნა. მალე მთავარ მშენებლობებზე და მრეწველობის სხვადასხვა დარგებში, არასრული ცნობებით, 200 ათასამდე კომკავშირელი გაიგზავნა სამუშაოდ.

კომკავშირის თავდადება და შრომითი მამაცობა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად დააფასეს. 1931 წლის 21 იანვარს კომკავშირი, დამკვრელობისა და სოციალისტური შეჯიბრების საქმეში ინიციატივის გამოჩენისათვის, დაჯილდოებულ იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით.

დიდი როლი ითამაშა ლენინურ-სტალინურმა კომკავშირმა აგრეთვე სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეში. კოლექტივიზაციამდე ჩვენი გლეხები დამოუკიდებლად, თავიანთ წვრილ ნაკვეთზე მუშაობდნენ. წვრილი, კერძო მესაკუთრული მიწათმოქმედება ძალზე ცოტა მოსავალს იძლეოდა. გლეხს, რაგინდ ბევრი ემუშავა, მაინც არ შეეძლო მიეღო იმდენი მოსავალი, რომ ოჯახიც გამოეკეცა და ნაწილიც ბაზარზე გაეტანა სხვა საოჯახო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ეს იმეტომ, რომ წვრილ გლეხურ მეურნეობაში არ შეიძლება მეცნიერების, ტექნიკის მონაპოვართა გამოყენება, მსხვილი სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანებით სარგებლობა, თესლბრუნვის დანერგვა. სოფელი ვერ აკმაყოფილებდა ქვეყნის მოთხოვნილებას პურზე, აედლეულ მასალაზე მრეწველობისათვის. ეს კი საფრთხეს უქმნიდა ჩვენს საბჭოთა სამშობლოს.

მდგომარეობიდან გამოსავალი გლეხობას დიდმა სტალინმა უჩვენა. მან დაგვისახა ერთპიროვნული გლეხური მეურნეობის მსხვილ კოლექტიურ მეურნეობებად გარდაქმნის იგნიალური გეგმა. ეს იყო ერთადერთი სწორი გზა, რომლითაც ჩვენმა გლეხობამ თავი დააღწია სიღატაკეს, მოიპოვა შეძლებული, ბედნიერი ცხოვრება. კოლექტივიზაციამ უზრუნველპყო სურსათის სიუხვე მოსახლეობისათვის, ნედლეულის სიუხვე მრეწველობისათვის.

საკოლმეურნეო მშენებლობაში აქტიური მონაწილეობა მიიღო კომკავშირმა, მან დარაზმა სოფლის ახალგაზრდობა დიდისტალინის შიტიებათა განხორციელებისათვის. კომკავშირმა ჩაატარა ორი მასობრივი ლაშქრობა „მოსავლისა და კოლექტივიზაციისათვის“, სოფლად მოანგარიშებულ გაგზავნა 20 ათასი კომკავშირელი. ამით მან მნიშვნელოვანი პრა-



ქტიული დახმარება აღმოუჩინა კოლმეურნეობებს. კომკავშირმა თავისი ძალებით ჩამოაყალიბა 5 ათასზე მეტი კოლმეურნეობა, კოლმეურნეობების ხელმძღვანელებად, ბრიგადირებად, ტრაქტორისტებად წამოაყენა მრავალი ათასი ახალგაზრდა. კომკავშირი ეხმარებოდა პარტიას კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის სწორად მოწყობის, შრომის დისციპლინის განმტკიცების, სოციალისტური შეჯიბრების გამოსის საქმეში, იგი დაუნდობლად ებრძოდა შრომის დეზერტირებს, საზოგადოებრივი ქონების დამტაცებლებს.

ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პოლიტიკის განხორციელების შედეგად საბჭოთა კავშირი მთელ მსოფლიოში ყველაზე მძლავრ, ყველაზე მოწინავე ქვეყნად გადაიქცა. ეს საბჭოთა ხალხის, ჩვენი პარტიის უდიდესი, მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვება იყო. ამ გამარჯვების მოპოვებაში ლენინურ-სტალინურმა კომკავშირმა თავისი წვლილი შეიტანა. მან სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე ბწყინვალედ გაამართლა ბოლშევიკური პარტიის, დიდი სტალინის იმედები. და აი, ახლა, როცა კომკავშირს თავისი არსებობის XXX წლისთავი უსრულდება, მას სიხარულით შეუძლია თვალი გადაავლოს თავის სახელოვან წარსულს და სიამაყით სთქვას, რომ მან ღირსეული როლი შეასრულა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საქმეში.

ბერასიმა ჟირსხალაპა

ახალგაზრდობა

ვლადიმერ მაიაკოვსკი

არა,

არა ვთვლი ახალგაზრდობად
მათ, ვინც მიმსხდარან მოლზე, ჩეროში,
და ისველებენ არაყით ყელსა
ღრიანცელსა და სადღეგრძელოში.

არა,

არ ვუხმობ ახალგაზრდობად
მათ, ვინც მაისის მშვენიერ ღამით
ცხვირაწეული მიჰხვეტენ გამზირს
ახალი მოდის, ახალი შარვლით.

არა,

არა ვთვლი ახალგაზრდობად
მათ, ვინც ცხოვრების გარიჟრაჟს ჰმარხავს
და,

რა ჩაესმის ჩქროლვა სისხლისა,
უგვან ტრფობაში ჰფლანგავს და ჰკარგავს.

ახალგაზრდობა არ არის ისა—
არ კმარა იყვე თვრამეტი წლისა...

ახალგაზრდობად ვიწამე ერთი—
ვინაც მებრძოლთა არმიას შესტრფის,
და ყველა ბავშვის სახელით ეტყვის:

„ჩვენ


ამ მიწაზე ცხოვრებას შევცვლით!“

ახალგაზრდობა ჯილდოა მისი,
ვინც კომკავშირის გამხდარა ღირსი,
ვისთვის შრომის დღე არის მზიანი,
არის ტკბილი და ხალისიანი.

თარგმანი მურმან ლეგანიძისა



სოციალისტური შრომის გმირები
კომკავშირელები—ვალერიან ბახტაძე
და სილოვან დავითაია.



კომკავშირი სამხედრო ომში

პიონერებო! 29 ოქტომბერს სრულდება ახალგაზრდათა ლენინურ-სტალინური კომუნისტური კავშირის 30 წლისთავი.

ახალგაზრდობის საუკეთესო მეგობრების, დიდი ბელადების ლენინისა და სტალინის მითითებითა და ხელმძღვანელობით, ბოლშევიკური პარტიის მიერ ჩატარებული მრავალი წლის მოსამზადებელი მუშაობის შედეგად შესაძლებელი გახდა 30 წლის წინათ 1918 წლის 29 ოქტომბერს მოწვეულიყო მებრძოლი ახალგაზრდობის პირველი ყრილობა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა კომკავშირს.

კომკავშირი, დღიდან დაარსებისა, აქტიურად ჩაება ბოლშევიკური პარტიისა და მთავრობის მიერ საბჭოთა ხალხის წინაშე დასმული ამოცანების შესრულებაში.

კომკავშირელთა გმირობისა და მამაცობის, თავდადებული შრომისა და ბრძოლის გამოხატველია ის დიდი ჯილდოები, რომლებიც დაიმსახურა კომკავშირმა თავისი არსებობის პერიოდში.

სამოქალაქო ომის ცეცხლში შობილმა კომკავშირმა მთელი თავისი ძალები დაძაბა ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყანაზე შემოსეულ უცხოელ ინტერვენტთა და რუს თეთრგვარდიელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. ჯერ კიდევ ახლად შექმნილმა კომკავშირმა 1919—20 წლებში სამი მობილიზაცია გამოაცხადა

და ფრონტს მისცა 25 ათასზე მეტი თავდადებული ახალგაზრდა მებრძოლი. იმ დროს კომკავშირის კომიტეტის კარებზე ხშირად შეხვედებოდათ წარწერას — „რაიკომი დაკეტილია, ყველანი ფრონტზე წავიდნენ“.

სამოქალაქო ომის დროს უცხოელ ინტერვენტთა და რუს თეთრგვარდიელთა განადგურების საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის ბოლშევიკურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ კომკავშირი დააჯილდოვა წითელი დროშის ორდენით.

სამოქალაქო ომის დამთავრების შემდეგ პარტიამ საბჭოთა ხალხის წინაშე დააყენა ახალი, მშვიდობიანი მშენებლობის ამოცანები. კომკავშირი მისთვის ჩვეული აქტიურობით ჩაება ამ დიად ამოცანათა შესრულებაში საქმეშიც.

1931 წელს, პირველი სტალინური ხუთწლიანი გეგმის შესრულების საქმეში აქტიური მონაწილეობისათვის, ენთუზიაზმისათვის, სოციალისტური შეჯიბრების განვითარებისათვის კომკავშირი დაჯილდოებული იქნა შრომის წითელი დროშის ორდენით.

1941 წლის 22 ივნისს ჩვენს სამშობლოს თავს დაატყდა დიდი საფრთხე. ომის გამოუცხადებლად, ყაჩაღურად თავს დავეცხსა ფაშისტური გერმანია. ფაშისტ-ყაჩაღთა ხროვა შემოიჭრა ჩვენს წმინდა ტერიტორიაზე და სთელავდა საბჭოთა ქალაქებსა და სოფ-

ლებს. ჩვენმა დიდმა ბელადმა ამხანაგმა სტალინმა მოუწოდა საბჭოთა ხალხს ყველაფერი გაეკეთებინა მტრის გასანადგურებლად. ამხანაგ სტალინის მოწოდებისთანავე კომკავშირელები, კომუნისტებთან ერთად, ფაშისტური გერმანიის წინააღმდეგ მებრძოლთა პირველ რიგებში ჩადგნენ და დიდების შარავანდედით შემოსეს სამოქალაქო ომის ქარცეცხლში გამოტარებული კომკავშირის საბრძოლო დროშა.

სამუდამოდ აღიბეჭდა ისტორიაში ჩვენი ახალგაზრდობის გმირობა და მამაცობა. დაუფიქსარია სასტიკი და საისხლისმღვრელი ბრძოლები ლენინგრადთან და სტალინგრადში, ოდესასა და სევასტოპოლში, გაათრებული ბრძოლები უკრაინისათვის, ბელორუსიისათვის, კავკასიისათვის. ამ და სხვა მრავალ ბრძოლაში კომკავშირელები კომუნისტებთან ერთად იბრძოდნენ პირველ რიგებში და წმიდად იცავდნენ სამშობლოს ღირსებასა და დამოუკიდებლობას, მის თავისუფლებასა და დიდებას.

ჩვენი თვალუწვდენი სამშობლოს ყველა კუთხიდან მოდიოდა ახალგაზრდობა სამამულო ომის ფრონტებზე, რათა თავისი წვლილი შეიტანა ვერაგი მტრის განადგურების საქმეში.

ომის პირველსავე დღეებში გმირი ქალაქის ლენინგრადის ყველა კომკავშირელმა განიცხადება შეიტანა ფრონტზე გაგზავნის შესახებ და ყოველი ათი კომკავშირელიდან ცხრა მოხალისედ წავიდა ფრონტზე.

ჩვენი სამშობლოს გულის — მოსკოვის — 50 ათასი კომკავშირელი ომის დაწყების პირველ იღიებშივე მოხალისედ წავიდა საბჭოთა არმიის რიგებში. საბჭოთა არმიის რიგებს გამოდმებით აესიბდნენ მოკავშირე რესპუბლიკების ასიათასობით კომკავშირელები.

საქართველოს 100 ათასზე მეტი კომკავშირელი წავიდა საბჭოთა არმიაში ომის წლებში.

კომკავშირელები მიდიოდნენ იქ, სადაც საჭირო იყო ყველაზე საიმედო, გაბედული, მამაცი და დისციპლინიანი მეომრები. სამამულო ომის პირველ დღეებშივე კომკავშირის აღზრდილმა ნიკოლოზ გასტელომ, კომკავშირელებმა — პეტრე ხარიტონოვმა, მიხეილ ყუკოვმა, სტეფანე ზდოროვცევმა მტრებთან უთანასწორო საჰაერო ბრძოლაში უბადლო გმირობა გამოიჩინეს და პირველებმა დაიმსახურეს საბჭოთა კავშირის გმირის მაღალი სახელწოდება.

ასზე მეტი საბჭოთა კავშირის გმირი მისცა დედამამშობლოს საქართველომ, მათგან ნა-

ხევარზე მეტი რესპუბლიკის კომკავშირის აღზრდილია. საქართველოს ამ საამაყო შვილთა სახელებს მთელი ქვეყანა იცნობს. კონსტანტინე ტყაბლაძე და ოთარ ჩუქუაშვილი, ნიკოლოზ ბერია და შოთა ვამცემლიძე, ლავრენტი ავალიანი და შოთა როსტიაშვილი, ნოე ადამია და ტიკოკ ბენდელიანი და ათობით სხვა სამუდამოდ შევიდა საბჭოთა კავშირის გმირთა სახელოვან ოჯახში.

შორს საქართველოდან კარპატების მთებში გმირული სიკვდილით დაეცა ოცი წლის მამაცი მებრძოლი კომკავშირელი ერონის ინაური. მან საკუთარი მკერდით ააფეთქა მტრის მიერ დანადგული მავთულხლართები და საშუალება მისცა ჩვენს ასეულს დაეკავებინა სტრატეგიული მნიშვნელობის სიმაღლე.

მტრის წინააღმდეგ ბრძოლებში საბჭოთა არმიის უდიდეს დახმარებას უწევდა მტრის ზურგში დარჩენილი ახალგაზრდობა. კომკავშირელები სახალხო შურისმგებელთა — პარტიზანთა რაზმების მებრძოლ ბირთვებს წარმოადგენდნენ. კომკავშირის ათასობით აქტივისტები — არალეგალური პირველადი ორგანიზაციების რაიკომები, საოლქო კომიტეტების მდივნები, მუშაკები ეხმარებოდნენ ბოლშევიკურ პარტიას, საბჭოთა არმიას, მთელ საბჭოთა ხალხს, მტრის მიერ დროებით ოკუპირებული რაიონების მოსახლეობას პიტლერელთა წინააღმდეგ საბრძოლველად თარაზმის საქმეში. ომის პირველ პერიოდში მარტო უკრაინაში 213 იატაკქვეშა ქალაქკომი და რაიკომი მოქმედებდა. ბელორუსიის გმირ პარტიზანთა რიგებში 150 ათასამდე ჭაბუკი და ქალიშვილი, მათ შორის 53 ათასი კომკავშირელი ითვლებოდა.

კომკავშირის რაიკომისა და ქალაქკომის მდივნებს ვლადიმერ რიბაკოს, ლიზა ჩაიკინას, ივანე ნიკიტინს, ალექსანდრე ისაჩენკოს და მრავალ სხვა კომკავშირულ მუშაკს, პარტიზანული მოძრაობის ორგანიზატორს საბ-




ჭოა კავშირის გვირის სახელწოდება მიე-
ნიჭა.

ზოია კოსმოდემიანსკაიას, ლიზა ჩაიკინას, ალექსანდრე ჩეკალინის, იური სმიროვის, კრასნოდონის „მოლოდაია გვარდიას“ გვირების ოლეგ კოშევიის, სერგეი ტიულენოვის, ლიუბა შევცოვას, ულიანა გროზოვას, ივანე ზემნუხოვის, ივანე ტურკენიხის და მრავალი ათასი სხვა კომკავშირელი ჭაბუკისა და ქალიშვილის უკვდავი სახელები სამარადისო დიდებით შეიმოსნენ დიდი სამაჟულო ომის წლებში.

კომკავშირელებმა, ახალგაზრდობამ თავი ისახელა არა მარტო ბრძოლაში, არამედ შრომაშიც. ზურგში თავდადებული შრომით ხელს უწყობდნენ ჩვენი სახელოვანი არმიის შეუფერხებელი მომარაგების საქმეს. ფრონტზე წასული მამების, უფროსი ძმებისა და დების შესაცვლელად მილიონობით ჭაბუკი და ქალიშვილი მოვიდა სამუშაოდ მრეწველობაში და სოფლის მეურნეობაში. კომკავშირის თაოსნობით საწარმოებში შეიქმნა ფრონტული ბრიგადები. ახალგაზრდა მუშები დღითი-დღე აღიდებდნენ პროდუქციის გამოშვებას.

საქართველოს პიონერები და მოსწავლეებიც არ ჩამორჩნენ თავის უფროს ძმებსა და დებს — კომკავშირელებს. ისინი სასარგებლო საზოგადოებრივ შრომას ეწეოდნენ, ეხმარებოდნენ უფროსებს რითაც შეეძლოთ. 1942-43-44 წლების ზაფხულში საქართველოს 500 ათასი მოსწავლე გამოვიდა საკოლმეურნეო მიწებებზე და მათ 22 მილიონი შრომადღე გამოიმუშავეს.

1942 წლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში აქტიური მონაწილეობისათვის საქართველოს 90-ზე მეტი პიონერი და მოსწავლე დაჯილდოებული იქნა „სოფლის მეურნეობის წარჩინებულის ნიშნით“. ომის დღეებში საქართველოს პიონერებმა და მოსწავლეებმა შეაგროვეს 346 ტონა სამკურნალო მცენარე.



კომკავშირის თაოსნობით ახალგაზრდობა გაძვიდა ქვეყნის თავდაცვის ფონდში სახსრების მასობრივი შეგროვების ინიციატივად.

ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირელების, ახალგაზრდობის მეხსიერებაში სამუდამოდ აღიბეჭდა დიდი სტალინის მადლობა, მიღებული საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის სახელზე.

„გთხოვთ გადასცეთ, — ნათქვამი იყო დიდი ბელადის დებულებაში, — საქართველოს სსრ კომკავშირელებს და ახალგაზრდობას, რომლებმაც 11.058290 მანეთი შეაგროვეს საბრძოლო თვითმფრინავების ესკადრილია „საქართველოს კომკავშირელის“ ასაგებად. ჩემი მხურვალე სალაპი და წითელი არმიის მადლობა“.

1945 წლის გაზაფხულზე საბჭოთა არმია ფამისტური მხეცის ბუნავს ბერლინს მიუახლოვდა. 30 აპრილს მამაცმა მეომრებმა კომკავშირელმა მიხეილ ეგოროვმა და საქართველოს კომკავშირის აღზრდილმა მელიტონ ქანთარიამ გამარჯვების დროშა აღმართეს ბერლინში — რაიხსტაგზე, 2 მაისს აღებულ იქნა ბერლინი, 8 მაისს გერმანიამ უსიტყვო კაპიტულაცია მოახდინა.

საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომი ჩვენი ხალხის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა. ამ გამარჯვებაში მნიშვნელოვანი წვლილი საბჭოთა ახალგაზრდობას, მის ავანგარდს ლენინურ-სტალინურ კომკავშირს მიუძღვის.

გერმანელ და იაპონელ დამპყრობთა წინააღმდეგ თავდადებული ბრძოლისათვის, გვირობისა და მამაცობისათვის 10-942 მედროსა და ოფიცერს მინიჭებული აქვს საბჭოთა კავშირის გვირის სახელწოდება, ამათგან 7 ათასამდე საბჭოთა კავშირის გვირი



30 წელზე ახალგაზრდა ასაკისაა, ისინი კომკავშირელები და კომკავშირის აღზრდილი არიან. ორჯონის საბჭოთა კავშირის გპირის სახელწოდება 101 კაცმა დაიმსახურა, მათგან 60-ზე მეტი კომკავშირელია. სამგზის საბჭოთა კავშირის გმირები ალექსანდრე პოკრიშკინი და ივანე კოყედუბი კომკავშირმა აღზარდა.

ბოლშევიკურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ღირსეულად შეაფასა კომკავშირის დამსახურება დიდი სამამულო ომის წლებში. ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის წლებში სამშობლოს წინაშე თვალსაჩინო დამსახურებისათვის და საბჭოთა ახალგაზრდობის სამშობლოსადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით აღზრდის საქმეში გაწეული დიდი მუშაობისათვის კომკავშირი 1945 წლის ივნისში დაჯილდოებული იქნა მთავრობის უმაღლესი ჯილდოთი — ლენინის ორდენით. ლენინური კომკავშირი სამგზის ორდენოსანი გახდა.

„მოხერხებო! თქვენ ხართ ის მომავალი თაობა, რომელმაც უნდა შეავსოთ საბჭოთა ახალგაზრდობის მოწინავე რაზმი, სიმამრ ორდენოსანი ლენინურ-სტალინური კომკავშირი.“

თქვენგან მოელის კომკავშირი სახელოვან რეზერვს, ახალგაზრდებს, რომლებმაც ახალი საგმირო ფურცლები უნდა ჩასწერონ კომკავშირის ისტორიაში, ადამიანებს, რომლებიც მუდამ მზად იქნებიან პარტიისა და მთავრობის საქმისთვის არ დაიშურონ ენერგია და თვით სიცოცხლეც კი, თუ ამას საქმე მოითხოვს.

მოგიწოდებთ, კარგი სწავლით და შრომით დაიმსახუროთ სამგზის ორდენოსანი ლენინური-სტალინური კომკავშირის წევრობის საპატიო სახელი.

აკაკი კინეზურაშვილი

საქ. აღკვ. ც. კ-ის მდივანი
აგიტაციისა და პროპაგანდის დარგში

ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკები



გივი კილურაძე
მსოფლიო ისტორიის ლექტორი



ნათელა კველავა
უცხო ენის ლექტორი



ილია ცერცვაძე
ფილოლოგიურ მეცნიერებათა
კანდიდატი

შეგირდები

ზაქარია შარაზალიშვილი

ცხრამთასიკითა შორეთი—და მაინც ჩვენი ურალი,
 უზარმაზარი ქარხანა, გმირული გარჯის მწყურვალი;
 სახელგანთქმული საამქრო, სახელგანთქმული ამქრები,
 გიყვარდეს შენი ხელობა—უკვალოდ აღარ გაქრები;
 დროებით დავთმეთ მშობელი—მზისა და ვაზის ქვეყანა,
 ფოლადთან ძმობის სურვილმა რუს ოსტატებთან შეგვეყარა;
 ოცი ქართველი ჭაბუკი ერთად ვეწვიეთ ქარხანას,
 ურალის მიწამ პირველად ოცივე შეგირდს გვახამა,
 გვახამა,—ისევ მოკვებით! გავხდით ფოლადის მრანდავნი,
 ოსტატნი—საქართველოში ხალიბთა ნაცვლად ამდგარნი.
 კომკავშირელთა ხელებში აღბათ ლითონიც გახელდა,—
 წყრთიან-წყრთიანი თასმები შემოიწყვიტეს ჩარხებმა.
 ოცნი ვიყავით, ოცივე ერთი საქმისთვის ვსუნთქავდით,
 ერთად ვისწავლეთ ხელობა, ერთად მოვედით რუსთავში.
 ლითონის ენა გავიგეთ, გავეფიცენით ძმობილად,—
 ფოლადის ლალი წკრიალი თურმე სიმღერა ყოფილა.
 მოვისმენთ, ავჭრიალდებით, ძარღვებში ცეცხლი დაგვირბენს,
 ჩვენ ეს სიმღერა საფლაფშიც უნდა ვასმინოთ ხალიბებს,
 რომ ცივი ძვლები გავუთბოთ ქართველთა ამაყ წინაპრებს,
 ხმლებს რომ სჭედავდნენ და ხმალთან თავსაც სამშობლოს სწირავდნენ;
 ეგება მათაც იხარონ—იმ შორეულმა მამებმა,—
 ჩვენთვის რომ აღარ დასცალდათ ფოლადის წრთობის სწავლება.





პლიზბარ ზაღბინიძე

ნახატები ირ. რაზმაძისა

მოთხრობა

თენდებოდა მაისის პირველი დღია, იმ დროშის სადღესასწაულო დღე, რომელიც რაიხსტაგის თავზე ფრიალებდა. სარდაფში მომწყვდეული ფაშისტები არ ნებდებოდნენ. გარიჟრაჟზე შეტევაზე გადავიდნენ. ისინი მოადგნენ სარდაფებიდან ზევით ამავე კიბეებს, შეიჭრნენ პირველი სართულის ოთახებში, თავიანთი ჯარისკაცების გვამებზე გადადიოდნენ და ავიწროებდნენ ჩვენებს.

განსაცდელი იწყებოდა. კომკავშირელებმა საგანგებო კრება მოიწვიეს.

პრეზიდიუმში ავტომატებითა და ხელყუმბარებით ხელში ოთხი მეომარი იდგა — ქანთარია, ჩუბოვი, კუხტა, ივანოვი. ჩვიდმეტი ახალგაზრდა მეომარი. — ზოგი კედელს მიყრდნობოდა, ზოგი მაგიდას იდაყვით დაბჯენოდა, ზოგიც შემომტვრეულ ფანჯრებისაკენ იცქირებოდა, უსმენდნენ ქვემეხების ხმას და ყოველი გასროლის შემდეგ ჩუმად თავიანთთვის დააყოლებდნენ ხოლმე: — ჩვენია... ჩვენია... ეს კი ფრიცებისაა!

ღარბაზში კედლებთან მიმდგარი იყო რბილი სავარძლები, მაგრამ კრების არც ერთ მონაწილეს წამითაც არ გაუფიქრია დაჯდომა. ყველანი ფეხზე იდგნენ. ეფრეიტორ ივანოვს ცალი ფეხი ხავერდგადაკრულ სავარძელზე ედო, რომ მუხლი აემალლებინა და

ქალაქის ფურცელზე კრებაზე დამსწრეთა გვარები აღენიშნა.

დღის წესრიგში ერთად-ერთი საკითხი იდგა:


— არ მივცემთ რაიხსტაგს!

კომკავშირელი კაპიტანი ნეუსტროვეი მოხსენებით გამოვიდა. მისი სიტყვა მოკლე იყო. ბრძოლის დიდ გზაზე ბრძანებებს მიჩვეული მეთაურის სიტყვა ახლაც ბრძანებას ჰგავდა:

— უნდა მოვიგერიოთ კონტრშეტევა! ისეთივე დიდია კომკავშირელთა როლი რაიხსტაგის შენარჩუნებაში, როგორც მის ალებამი იყო. ვინ აღმართა დროშა რაიხსტაგზე? კომკავშირელებმა!... ჩვენვე უნდა შევიწინარჩუნოთ იგი!...

ნეუსტროვემა სიტყვის დამთავრება ვერც კი მოასწრო, რომ ადგილიდანვე დაიწყო ეფრეიტორმა ჩუბოვმა:

— ამხანაგებო, ჩვენ აღვმართეთ გამარჯვების დროშა რაიხსტაგზე. ეს ჩვენ ამხანაგების სისხლის ფასად დაგვიჯდა. აბა რა ბიჭები ვიქნებით, თუ კი უკან დავიხევთ და დაუბრუნებთ რაიხსტაგს! მთელი საბჭოთა კავშირი დაგვცინებს. გავიმარჯვოთ, ან აქ დავიხოცოთ! — ჩუბოვი ლაპარაკობდა ახალგაზრდული მღელვარებით. ის თავის წვრილი და ჩავარდნილი ცისფერი თვალებით სახი-



ამოიღო. ფანქრის წვერს დახედა. სახეზე შეეტყო, რომ არ ესია მოვცა. ფანქარს წვერს მოსტეხოდა. მას ფრჩხილებით ხე შეეძლოა ლიჯა და შავი გრიფელი ოდნავ გამოაჩინა. ოქმს ხელი მოაწერა და მის გვერდში მდგომ ჩუბოვს გადასცა. მანაც ხელი მოაწერა. ბოლოს ოქმი ივანოვს გადასცეს. ივანოვმაც ხელი მოაწერა და დადგენილება ხმამაღლა წაიკითხა.

— კონტრიერიზის მოგერიების საქმეში პოლკის კომკავშირელები პირველ რიგებში იდგნენ და ყველასათვის მაგალითის მაჩვენებლები იყვნენ. ბრძოლაში, ამხანაგებო!

კითხვა დაამთავრა თუ არა ივანოვმა, კრების ოქმი ოთხად დაკეცა და უბეში კომკავშირულ ბილეთში ჩაიღო.

მებრძოლები დერეფანში გავიდნენ. ქვედა სართულებიდან კვამლი ამოდიოდა. დერეფანი ამ კვამლს დაეფარა. მებრძოლებს სუნთქვა უჭირდათ, ეწვოდათ ყელი, თვალები. ნისლივით გაშლილ კვამლში ერთმანეთს ცუდად ხედავდნენ. მხოლოდ ხმაზე სცნობდნენ ერთმანეთს.

ქანთარიას იკვნეულმა ფიქრმა გაუელვა:— მოწინააღმდეგე სახურავისკენ არ გაჭრილიყო, დროშა არ ჩამოეხსნათ.

— გამომყევით! — დაიძახა მან და იმ კარისკენ გაეშურა, საიდანაც გუშინ გუმბათზე ავიდა.

დაძახილზე ერთი ჯგუფი მას გაჰყვა. მეორე ჯგუფი კაპიტანმა წაიყვანა. ისინი ქვედა სართულისაკენ გაეშურნენ.

ქანთარიამ კარი გამოაღო და ბნელი კიბით ავიდა მაღლა. უკან მიჰყვებოდნენ მებრძოლები. კიბემ ისინი მალალჭერიან დარბაზის კედლებში ჩატანებულ აივანზე აიყვანა. აქედან ძირს ჩაიხედეს და ქვევით ჰიტლერელთა დიდი ჯგუფი დაინახეს, რომელიც კარების შემტვრევას ლამობდა. რამდენიმე ხელყუმბარა ჩაავდეს ძირს. მოულოდნელობით თავზარდაცემულ გერმანელებს იმავე წუთს თავზე დაახტნენ. მტერმა გაქცევა დააპირა, მაგრამ გაქცევასაც ვერ ასწრებდნენ და ხელუბაწიულნი გაჩერდნენ მებრძოლების წინ.

ქანთარია მიხვდა, რომ ამ გზიდან მტრის ზურგში შეიძლება გადასვლა. უცბათ ათეული დარაზმა და წინ გაუძღვა.

გატილებულ დარბაზებში და დერეფნებში, სადაც მძიმე კვამლთან ერთად ცეცხლის ენებიც დაფარფატებდნენ, ხელჩართული ბრძოლა მიდიოდა. ფაშისტებმა თავიანთ ზურგში საბჭოთა მებრძოლები რომ დაინა-

დან სახეზე გადარბოდა, თითქოს ყოველ მათგანს სთხოვდა დაემოწმებინა მისი სიტყვების სიმართლე.

გამოვიდა რიგითი მებრძოლი გრიშინი. მან ფეხებს შორის მოიქცია ავტომატი, ორთავე ხელით ზედ დაეყრდნო, უძილობით დაქანტული სახე ამხანაგებისკენ წარმართა და სთქვა:

— გუშინ პირველ სართულზე მე კომკავშირის რიგებში შემოვედი. დღეს მესამე სართულზე პირველად გამოვდივარ კრებაზე. ვიდრე მესამე სართულზე ამოვიდოდით ჩვენ დავკარგეთ შვიდი კომკავშირელი ამხანაგი. ისინი მსხვერპლად შეეწირნენ ამ მოკლე გზის გავლას, მაგრამ დიდ გამარჯვებას. ჩვენ ამოდ ვერ ჩავატარებთ ამ სართულებზე დაღვრილ სისხლს. მოვიწოდებთ ვიბრძოლოთ უკანასკნელ სისხლის წვეთამდე! რაიხსტაგს არ დავთმობთ! ჩვენ გვიცქერის მთელი არმია! ჩვენ გვიცქერის სტალინი! იარაღი თუ არ გვექნება, კბილებით ვიბრძოლებთ! მე გავათავებ.

ქანთარიამ მაგიდაზე ხელი დააკაკუნა.

— დრო აღარ იცდის! — სთქვა მან. ყველა მას მიაცქერდა. მან კი ივანოვს კრების ოქმი გამოართვა და ისევ მოკლედ მიმართა, — ხელი მოაწეროთ და დავამთავროთ... მერე უბეში ხელი ჩაიყო. პატარა ფანქარი

ხეს, საბოლოოდ სულით დაეცნენ და დანებდნენ. ხელუბანულნი ვადიოდნენ ვარეთ. ისინი იხედებოდნენ ყოველმხრივ, სახეში ამტერდებოდნენ თავიანთ დამპარცხებლებს. ისეთი გამომეტყველება ჰქონდათ, თითქოს ამ ხელის აწევით უნდოდათ ესიამოვნებინათ მოწინააღმდეგე იმ დიდი ბედნიერებისათვის, რაც სიცოცხლის შენარჩუნება იყო.

ცეცხლი ჩაქრა. ყველაფერი მიწყნარდა. მყუდროებას არღვევდა მხოლოდ ქალაქის სხვადასხვა უბნებში ცალკეული გასროლის ხმა.

ქალაქის თავზე კვამლი იფანტებოდა, მაგრამ მის ადგილს იკავებდა საღამოს ბინდი, წყნარი და მწუხარე.

კომკავშირელებმა გვარები ამოიკითხეს. დაძახილზე ექვსჯერ არ იყო პასუხი. ექვსჯერ ჩამოვარდა მოწყენილი ღუმბილი. ეგოროვი ხმადაბლა ამბობდა: — არ არის!.. არც ეს არის!.. დიახ, არც ეს!..

ასეთ წუთებში თავჩაღუნულ მებრძოლებს თვალწინ წარმოუდგებოდათ ხოლმე თანამებრძოლი ამხანაგი მხოლოდ და მხოლოდ კარგი, სასიყვარულო თვისებებით, რომელიც მათ ახასიათებდათ.

ეგოროვი და ქანთარია ერთად გაბრუნდნენ იმ გზით, რომელიც ბრძოლით გამოიარეს. ერთ-ერთი ოთახის ზღურბლთან პირაღმა იწვა ივანოვი. მას ხელში ეჭირა ხელყუმბარა, რომლის გასროლაც ვერ მოესწრო. სიკვდილის მისთვის თვალთა ქუთუთოები მხოლოდ ოდნავ ჩამოეყარა. ის ცოცხალს ჰგავდა.

ქანთარია ხალათის საყელო შეუხსნა. ცალ მუხლზე დაეყრდნო, დაიხარა და მკერდზე ყური ისე დაადო, თითქოს გულზე მიეხუტაო. მას უნდოდა გაეგო საყვარელი მეგობრის გულისცემა, სუნთქვა, მაგრამ მუდამ მღელვარე ახალგაზრდის მკერდში სი-

ცოცხლის მანიშნებელი ჩამქრალიყო. ქანთარია თავი მაღლა ასწია და ნაღვლიანად შეხედა ეგოროვს.
„მკვდარია!“ — უსიტყვოდ აგრძნობდა ერთმანეთს.

დაცემულ მეგობარს უბიდან კომკავშირის ბილეთი ამოუღეს. ოდნავ ათრთოლებული ხელით გადაშალეს. შიგ იდო ოთხად გადაკეცილი ქალაქის ფურცელი. ქანთარია მისგან გადაშალა და თვალი გადაავლო სულ რამდენიმე საათის წინათ ივანოვის მიერ დაწერილ ოქმს, რომელიც კომკავშირელებს მოწინავეობას მოუწოდებდა.



დაღამდა. შაისის ვარსკვლავებიანი ცა დასცქეროდა ამაყად აფრიალებულ გამარჯვების დროშას და ამავე დროშას თავს ევლებოდნენ კომკავშირელი სერჟანტების უძილო ღამის მოუსვენარი ფიქრები...

0257



კრასნოდონელი გმირები



1942 წლის, 20 ივლისს, გერმანელთა ფაშისტურმა ჯარმა ვოროშილოვგრადის ოლქში დაიპყრო მეშახტეთა ქალაქი კრასნოდონი.

უკვე მეორე დღესვე დაიწყეს მშვიდობიანი მოსახლეობის დაპატიმრება და აწიოკება. ცხოვრება აუტანელი გახდა ფაშისტ ბარბაროსების ხელში. სისხლისმსმელი ჯალათები სიკვდილით ემუქრებოდნენ ყველას, ვინც კი მცირე წინააღმდეგობას გაბედავდა. ისინი დაუნდობლად უღეტდნენ ქალებს თუ ბავშვებს; ცოცხლად მარხავდნენ უდანაშაულო ადამიანებს.

ქალაქში მიმშილი და სიკვდილი მეფობდა.

სექტემბრის სწორედ ასეთ მრისხანე დღეებში ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით დაარსდა არალეგალური კომკავშირული ფარული ორგანიზაცია „ახალგაზრდა გვარდია“, რომლის ორგანიზატორი და მდივანი იყო ოლეგ კომევი.

ამ ორგანიზაციის წევრებმა იცოდნენ, თუ რა მძიმე დღეები მოელოდათ მათ, იცოდნენ, თუ რა დიდი მოვალეობა იკისრეს, მაგრამ მათი გადაწყვეტილება მტკიცე და ურყევი იყო.

— ჩვენ გერმანელებს არ დავემონებთ, — ამბობდა ოლეგი, — ჩვენ ვიბრძობეთ. როგორც იბრძოდნენ ჩვენი წინაპრები, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, რათა ღირსეულად მოვიხადოთ ვალი ჩვენი საყვარელი სამშობლოს წინაშე.


„ახალგაზრდა გვარდიამ“ დიდი გავლენა მოახდინა მთელს კრასნოდონის რაიონში. შეიქმნა ფარული კომკავშირული ორგანიზაციები და მებრძოლთა ჯგუფები. მათი წევრები დიდ მუშაობას აწარმოებდნენ მოსახლეობაში: სახლის კედლებზე, ბოძებზე, ლობეებზე აკრავდნენ პროკლამაციებს, ამხელდნენ გერმანელთა ცრუ მონაპორს საბჭოთა არმიის დამარცხების შესახებ; რადიოს საშუალებით მოსახლეობას ამცნობდნენ

სტალინგრადთან ჩვენი ძლევამოსილი ჯარის გამარჯვებას, ეხმარებოდნენ დაჭრილ და ტყვედ ჩავარდნილ საბჭოთა მებრძოლებს, სწვავდნენ გერმანიაში გასაგზავნად დამზადებულ საბჭოთა პურს, თავს ესხმოდნენ გერმანელ ფაშისტებს და ანადგურებდნენ მათ. პოლიციელის ტანსაცმელში გადაცმული ოლეგი მოსახლეობას უნერგავდა საბჭოთა ხალხის გამარჯვების ღრმა რწმენას, ავრცელებდა საბრძოლო ფურცლებს.

„ახალგაზრდა გვარდიას“ შტაბმა გადასწყვიტა ოქტომბრის რევოლუციის 25 წლისთავი ზეიმით აღენიშნა.

7 ნოემბრის წინა ღამეს, მამაცმა ახალგაზრდებმა წითელი ღროშა ააფრიალეს. ვოროშილოვის სახელობის სკოლაზე გააკრეს ლოზუნგები: „ვილოცავთ ოქტომბრის რევოლუციის 25 წლისთავს“, „სიკვდილი გერმანელ ოკუპანტებს!“

1942 წლის, 7 ნოემბერს, დიდი ბელადის სტალინის მგზნებარე სიტყვის მოსმენის შემდეგ, ახალგაზრდა გვარდიელები უფრო მეტი ენერგიით შეუდგნენ ბრძოლას ფაშისტ-დამპყრობლების წინააღმდეგ. დეკემბრის დასაწყისში მამაც გვარდიელებს თავი-



ოლეგ კომევი



სერგეი ტიულენინი

ანთ განკარგულებაში ჰქონდათ: 15 ავტომობილი, 80 შაშხანა, 300 ხელყუმბარა, 15.000-მდე ვაზნა, 10 რევოლვერი, 65 კალოგრაში ფეთქებადი ნივთიერება და სხვ. ექვსი თვის განმავლობაში „ახალგაზრდა გვარდიამ“ მარტო ერთ ქალაქში 30-ზე მეტი სახელწოდების საბრძოლო ფურცელი გამოუშვა 5.000-ზე მეტი ეგზემპლარით.

გვარდიელებმა, სულ მცირე ხანში, რამდენიმე გაბედული თავდასხმა მოახდინეს. გერმანელებს დაატოვებინეს 500 სული პირუტყვი, გერმანელთა სამხედრო ტყვეების ბანაკებიდან გაათავისუფლეს 75 საბჭოთა ოფიცერი და მებრძოლი, პირველი მაისის სახელობის საავადმყოფოდან მოაწყეს 20 სამხედრო საბჭოთა ტყვის გაქცევა და გაათავისუფლეს რამდენიმე ათასი საბჭოთა ადამიანი, რომლებიც გერმანელებს თავიანთ ქვეყანაში — სამუდამო კატორღაში მიჰყავდათ.

საბჭოთა არმია დონბასს უახლოვდებოდა. ახალგაზრდა გვარდიელები აღტაცებით ელოდნენ მშრომელთა განმათავისუფლებლებს. ქალაქის აღების გეგმატ შეიმუშავეს, მაგრამ საზოგადოება გამცემლობამ შესწყვიტა ფარული ორგანიზაციის მუშაობა. მხოლოდ 7 კომკავშირელი გადაარჩა ცოცხალი.

დანარჩენები კი წამებით მოჰკლეს. ოლეგ და მის მეგობრებს სასტიკად აწამებდნენ ცხელი შანთით უწვავდნენ სხეულს ისინი მამაცურად იტანდნენ აღწერილ წამებას, გერმანელი სისხლისმსმელები ამოდ ელოდნენ მათგან გამცემლობას.

საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა, სხუთი წლის წინათ, ფამისტოთა მიერ სიკვდილით დასჯილ, სამშობლოსათვის თავდადებულ ახალგაზრდა სხუთ გვარდიელს, ფარული კომკავშირული ორგანიზაციის ორგანიზატორებს და ხელმძღვანელებს — ოლეგ კომევის, ულიანა გრომოვას, ივანე ზემნუხოვს, სერგეი ტიულენინს და ლიუბა შენცოვას — საბჭოთა კავშირის გმირის სახელწოდება მიანიჭა. ხოლო ოლეგის დედას — ელენეს, ახალგაზრდა გვარდიისადმი აქტიური დახმარებისა და ხელშეწყობისათვის, გადაეცა სამამულო ომის მეროვ ხარისხის ორდენი.

„ახალგაზრდა გვარდიას“ დანარჩენი 44 მონაწილე დაჯილდოებულ იქნენ, აგრეთვე, საბრძოლო ორდენებით.


კ. გოგიაშვილი



ულიანა გრომოვა



ლიუბა შევცოვა



ივანე ზემნუხოვი



პირველი საჩუქარი

ირსაზ ლახაზიძე

ნახატები მ. ლაუშვილისა

მთხრობა

სასოფლო საბჭოს შენობის წინ თავი მოეყარათ ახალგაზრდებს. მათ დანცხადება შეეტანათ საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში ჩასარიცხად.

მოხუცი გლეხებიც კი, რომლებიც ახალგაზრდების ყრამულით სტუკებოდნენ, მსჯელობდნენ ასეთ სკოლაზე.

— პაი, დედასა, ნეტავ ჩემი ბავშვობის დროსაც ყოფილიყო ასეთი სკოლა და... ვისწავლიდი რამესა და კაცი გამოვიდოდი!

— მაშა, კაცო, მეფის მთავრობას სულ შენი ჯავრი ჰქონდა — ქიტესას ვასწავლოო, საწყალ კაცს კარგი პირობები შეექმნასო.

— პო და, მეც ამას არ ვჩივი? კიდევ კარგი ჩვენი დალოცვილი მთავრობის დროს მასწავლეს წერა-კითხვა, თორემ რა მეშველებოდა. ახლა გაზეთსაც ვკითხულობ... — და თავმოწონებით უღვაშებზე გადაისვა ხელი. ისეთი გამომეტყველება მიიღო, თითქოს ახალგაზრდებს ანიშნებდა, არც მე ვარ თქვენზე ნაკლები, მეც გამეგება ქვეყნის ამბებო.

— ეგ ყველაფერი კარგი, — ჩაერია მესამე მოხუცი, — მაგრამ, ნეტავ, რას ასწავლიან იმ სკოლაში? — და გარშემო მიიხედ-მოიხედა, თითქოს თანასოფლელებს შორის ეძებდა ადამიანს, რომელსაც მის შეკითხვაზე პასუხი უნდა გაეცა.

— ვინ ჩამოსთვლის, — სთქვა ერთმა ახალგაზრდამ, — ზოგი ზეინკალი გამოდის, 20

ზოგი — ხარატი, ზოგიც ასოთამწყობი.

კოლმეურნეების ასეთ საუბარს ყურს უგდებდა ერთი პატარა ბიჭი, სახელად ზურია.

მან პირველად გაიგონა სიტყვები „ზეინკალი“, „ხარატი“, „ასოთამწყობი“. არც ერთი ხელობის მნიშვნელობა არ იცოდა.

ოქროსთმიანი ზურია დიდხანს იდგა იქ, დიდხანს უსმენდა მათ საუბარს. ბოლოს თავჩაღუნული გამობრუნდა, გზაზე გამოვიდა და შინისაკენ გაემართა.

წავიდა ზურია ნელა, ოცნებით სავსე, წავიდა და ირძობდა, რომ მის თავში ეს სიტყვები ირეოდნენ. ცდილობდა, როგორმე გაეგო მისთვის საიღუმლოებით სავსე სიტყვების მნიშვნელობა, მაგრამ ამაოდ. მაშინ დაღლილი თავი მალა ასწია, პატარა თვალებით გაიხედა შორს, კავკასიონის ქედისაკენ, თითქოს ცქერით დაიღალა, თვალები დახუჭა და თავი ისევ დახარა.

შინ რომ მივიდა, ნელა აიარა კბე და შეუტყნეველად სახლში შევიდა, სკამზე ჩამოჯდა და თავი მავიდაზე დადო.

ხელსაქმით გართულმა დედამ მხოლოდ ახლა შეამჩნია შვილი, შეამჩნია და ფერი ეცვალა. დედის გულმა რაღაც იგრძნო და წამოხტა.

— შვილო, ზურა, გენაცვალე, ავად ხომ არა ხარ? — შეეკითხა ათრთოლებული დედა.

ზურიამ თავი მალა ასწია, დედას ღიმილით შეხედა და თავი გააქნია.

— მაშ რა მოგივიდა, შვილო, ჰა? მითხარი. გენაცვალე! — და მოშავო პატარა თვალებში ჩაჰხედა.

— დედი! რა არის ხარატი, ზეინკალი, ასოთამწყობი?

არც დედას გაეგებოდა კარგად ამ სიტყვების მნიშვნელობა და ეგონა, რომ შვილს სიტყვ აქვს და ბოდავსო.

— რას ამბობ, შვილო, რას ამბობ. ვაიმე, რალა მეშველება, — და წამოხტა სასწრაფოდ. ლოგინი გამალა და შვილს შეეხვეწა:

— დაწეი, თავემოგეველე, დაწეი, სიტყვ გაქვს.

მართლაც, ზურის ისეთი სახე ჰქონდა, როგორც ლაქლაქა ატამს. შეხედა დედას და უთხრა:

— ეჰ, არც შენ გცოდნია თუ რა არის ხარატი, ზეინკალი!

კიდევ რალაც უნდოდა ეთქვა, მაგრამ დედის სიტყვებმა შეაჩერეს.

— ჰო, ჰო, მე არ მესმის, რა არის ზეინკალი, მე ის ვიცი, მხოლოდ, რომ შენ ავად ხარ და ახლავე უნდა დაწეი.

დედამ თითქმის ძალით წამოაყენა, გახადა ტანსაცმელი და დააწვინა.

ოთახში სიჩუმე ჩამოვარდა.

დედა სასათუმალთან იდგა და დაჰყურებდა შვილს. დაჰყურებდა და ვინ იცის, რას არ ფიქრობდა შვილზე.

— დედი! — წამოიძახა ცოტახნის შემდეგ ზურამ.

— რა გინდა, შვილო?

— სკოლაში გამეზავნე, სახელოსნო სკოლაში, სადაც ზეინკობას, ხარატობას სწავლობენ.

დედა მიხვდა ახლა ყველაფერს, მიხვდა და გულნატყენი დარჩა. ქმარი სამამულო ომში დაეღუპა, მხოლოდ ამ ერთადერთ შვილს შეჰყურებს და შეჰხარის. ეს კი შორს, ქალაქ თბილისში წასვლას თხოულობს. მერე ვილას გაუცინოს, ვილას დაელაპარაკოს? უნდა დარჩეს მარტოდმარტო ოთხკედელს შორის!

დედა სასათუმალთან ჩამოჯდა. ხელები გადაუსვა ზურის ოქროსფერ თმაზე და ცოტახნის შემდეგ ნაღვლიანად უთხრა:

— არა, შვილო, მე უშენოდ ვერ გავძლებ.

ზურის ეგონა, დედა დასთანხმდებოდა, და პასუხის მოლოდინში თავის მომავალს ნაირნაირი ფერებით რთავდა.

„მე უშენოდ ვერ გავძლებ“ — სხვა დროისათვის ამ სასიხარულო სიტყვებმა ახლა ისე მწარედ გაიხმაურეს, როგორც მწარე ას მიერ მოქნეულმა შოლტმა. გაიხმაურა და ზურისა თვინებით შექმნილი მომავალი, ათასნაირი ფერებით რომ იყო მორთული, ნაკუწ-ნაკუწად აქცევს.

ზურისა ცრემლები მოადგა და თავი საბანში ჩამალა.


დედა მიხვდა, რომ მისმა სიტყვებმა გული ატყინა შვილს, მაგრამ რა ქნას, როგორ მოიქცეს? გავზავნოს სასწავლებლად? მაშინ ხომ მარტო უნდა დარჩეს, არა და, შვილს ცუდი საქმე ხომ არ მოუწადინებია? მაგრამ იქ ვინ მოუვლის, ვინ მოუშვადებს საქმელს? ასეთ ფიქრებში რომ იყო, დედას მოესმა ზურის ნაზი და სმირი სუნთქვა. გადახადა საბანი, დახედა შვილს, — ეძინა. აკოცა.

დედა თვალცრემლიანი წამოადგა. თავის საქმეს მიუტრიალდა.

იმ დამეს ვინ იცის რანაირი სიზმარი არ ნახა ზურამ! ხან დედას ეხვეწებოდა — გამოშვი სასწავლებლადო, ხან სასოფლო-საბუკოს თავმჯდომარეს ემუდარებოდა — ნუ დამტოვებ, ამ ახალგაზრდებს მეც გამაყოლეო, ხან განცხადების შეტანაში ეცილებოდა ვილაც ახალგაზრდას — ჩემი რიგია, ჯერ მე უნდა მივაწოდო განცხადებაო. ხან კი თითქოს უკვე ჩაერიცხათ სახელოსნო სასწავლებელში და ვინ იცის რას არ აკეთებდნენ ოსტატები.

მეორე დღეს ჯერ ისევ ბნელოდა, ზურისა რომ გამოეღვიძა. ჩაიცვა სასწრაფოდ და გარეთ გავიდა. ცას თვალი მოავლო. მთვარე უკვე გადახრილიყო და მისი რძისფერი შუქი ალუჩა-ტყემლების რტოებს შორის სვეტებად დაშვებულყო. ვარსკვლავები ოდნავ





ბეუტავდნენ და ისე მიჰკროდნენ ცას, როგორც ოქროს მძივები.

დიღხანს უყურა ზურია ცის სილამაზეს. დიღხანს სტკებებოდა მისი მშვენიერებით. უცბათ შეკრთა. რალაც ხმაური მოესმა. სასწრაფოდ ჩაირბინა კიბე და ასევე სასწრაფოდ ამოირბინა ერთი იღლია შემოთ, შეიტანა ოთახში და ცეცხლი დაანთო თუნუქის ლუმელში.

მხოლოდ ახლა შეამჩნია დედა, რომელიც ლამფას ანთებდა.

დედას შვილისათვის არაფერი უთქვამს. ზურია პირი დაიბანა, წამოავლო წიგნებს ხელი, მიუჯდა ლუმელს და გაკვეთილების დამზადებას შეუდგა.

ლუმელი მხიარული ხმაურით გუგუნებდა.

გარეთ კი მამლები ხშირი ყვილით აყრუებდნენ ეზო-მიდამოს. ალბათ ზურიას ეძახდნენ: — თენ-დე-ბააა!

* * *

ერთი კვირის შემდეგ როგორც იყო ზურია დაითანხმა დედა სახელოსნო სასწავლებელში წასვლაზე.

და აი. ახლაც. სასოფლო საბჭოს შენობის წინ გლეხებს თავი მოუყრიათ, ალბათ ახალგაზრდებს აცილებენ.

მიდის ზურია სასოფლო საბჭოს შენობისაკენ და მისდევს დედაც.

სასოფლო საბჭოს თავმჯდომარემ საქარხნო-საფაბრიკო სკოლებში გასაგზავნი ახალგაზრდების სია ამოიკითხა.

ყველანი იქ იყვნენ.

ავტომანქანა ჩამოდგა.

ახალგაზრდები ჩასხდნენ.

ზურიაც გაემართა მანქანისაკენ, მაგრამ დედამ შეაჩერა.

— შვილო ზურია! მამაშენი არ იყო შერცხენილი და არც შენ შემარცხვინო. სახელოვანი კაცი გამოდი.

დედამ თავი ჩალუნა. ცრემლები თუ მოერია.

ზურია უკან დაბრუნდა. მოეხერა დედას და ცრემლიანი თვალები კოცნით ამოუწმრო.

— შვილო, — განაგრძო დედამ, — ხედავ ამ მთებს! გიყვარდეს იგი. ხედავ ამ აყვავებულ ბაღებს! არ დაივიწყო იგი. ხედავ ამ სოფელს! შენ აქ დაიბადე და გაიზარდე, იმრომე მისი დიდებისათვის.

დედამ წასვლის წინ შუბლზე აკოცა ზურიას, შემდეგ თვალებში ჩახედა, მიიჭრა მკერდზე და გზა დაულოცა.

ზურია ავიდა მანქანაზე.

— მამ, მიდიხარ, ჰა, შვილო?

— მივდივარ დედა, კარგად იყავი!

— სოფელი არ დაგავიწყდეს, შვილო! მანქანა აუგუნდა, ნელა დაიძრა და მალე მოსახვევში მიიშალა.

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. სოფლის ბაღები ექვსჯერ აყვავდა, დახუნძული ვენახები ექვსჯერ დაიჭრია და დაიწურა ყურძენი, სოფელი ჭიკაძანი და მის გარშემო მდებარე მთები ექვსჯერ დაითოვა და აი, მეშვიდე ვახაფხულმა სოფელს სასიხარულო ამბავი მოუტანა.

კვირა დღე იყო. სოფლის ყველა მცხოვრები — დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი სასოფლო საბჭოს შენობისაკენ გარბოდა. აქ მანქანა იყო გაჩერებული, მანქანაზე კი რალაც კილობში გახვეული ავეჯი იდგა.

მანქანიდან ხანში შესულმა მამაკაცმა იქ მყოფთ გადახედა და თებრო ქვაჭრელაშვილი იკითხა. ზურიას დედას კითხულობდნენ.

სოფლელებმა ერთმანეთს გადახედეს.

თებრო ყველაზე უკან იდგა. ყველამ მისკენ მიიხედა.

თებრომ უხერხულობა იგრძნო. ჯერ გაწითლდა, შემდეგ სხეულმა რატომღაც თრთოლა დაუწყო. ალბათ იმიტომ, რომ ყველა მას უყურებდა.

— აქ არის, აქ! — დაიძახა ვიღაცამ.

— აბა, წინ წამოდგეს.

— „რალაც ამბავია ჩემს თავს“, — ვაიფიქრა თებრომ და აკანკალებული მუხლებით ძლივს წადგა წინ.

— თქვენ ბრძანდებით თებრო ქვაჭრელაშვილი?

— დიას! — უპასუხა თებრომ.

— სასიამოვნოა! — თქვა უცნობმა და თებროს კონვერტი გადასცა და თან დაუმატა: — გილოცავ კარგი შვილის ყოლას.

სოფლელები გაკვირვებული უყურებდნენ უცნობი კაცის გრიელ უღვაშებს, ხშირსა და შავ წარბებს, პატარასა და მოუსვენარ თვალებს, განსაკუთრებით კი იმ ჩიბუხს, რომელსაც უცნობი კაცი ხელში ატრიალებდა.

გაოცებული თებრო უხერხულად იდგა და არ იცოდა რა ეთქვა, როგორ მოქცეულიყო. „ნეტავ, ვინ არის ეს კაცი?“ — ფიქრობდა ის.

უცნობი კი ამ დროს ხალხს ეღონებოდა:

— ამ სოფლის შვილი ზურია ჩვენთან, საქარხნო-საფაბრიკო სკოლაში, ორი წელი სწავლობდა. ამ ხნის განმავლობაში თავგამოდებით ეუფლებოდა თავის ხელობას. ზურია მწარჩინებით დაამთავრა სკოლა. საუცხოოდ შეისწავლა სადღერგლო ხელობა. სკოლის დირექციამ სკოლაშივე დასტოვა მასწავლებლად. ოთხი წელია ზურია ახლასხეებს ასწავლის ხელობას. მე წლოვანებით მისი უფროსი



ამხანაგი ვარ, მაგრამ მე თვითონ დავივალე მომეტანა თქვენთვის ის საჩუქარი, რომელიც მან თქვენ გამოგიგზავნათ სამკითხველოსათვის.

თებროს ახლა მოულოდნელი სიხარულისაგან თვალები გაუბრწყინდა.

მანქანაზე მდგომი ქალაქელი შეჩერდა. ჯიბიდან დანა ამოიღო, დგამს მიუბრუნდა და ორ ადგილას გასჭრა ჭილობი და ავეჯს ეს ჭილობი ნელნელა მოაცილა. სოფლის მცხოვრებნი ალტაცებაში მოვიდნენ. მათ წინ მანქანაზე კაკლის ლამაზი კარადა იდგა. ასეთი მშვენიერი რამ ჯერ მათ თვალებს არ ენახათ.

ეს იყო წიგნის კარადა. იგი თავისი მოყვანილობით არ ჰგავდა ჩვეულებრივ კარადას. ოღნავ დაბალი იყო, სამაგიეროდ განიერი. სამი ნაწილისაგან შესდგებოდა: მთავარი ნაწილი შუაში იყო. იგი მაღალი იყო და თავდებოდა კომკით, რომელსაც ვარსკვლავი ამშვენებდა. ასეთივე, მაგრამ უფრო პატარა კომკებით თავდებოდა კარადის აქეთ-იქით მიდგმული ნაწილები. კარადის შუა ადგილას საბჭოთა კავშირის ღერბი იყო ამოჩუქურთმებული, ღერბის ქვეშ იყო რკალისებური წარწერა „ადიდე სამშობლო“. ეს სიტყვები ყურძნის მტევნებში იყო ჩაგრეხილი, ყურძნის მტევნები კი ეწყო ტაბაკზე, რომელიც მოლიმარ კოლმეურნეს ეჭირა და სამშობლოს ტკბილს სთავაზობდა.

ქალაქელი ოსტატი გაღიმებული ჩამოვიდა მანქანიდან. ამ დროს მასთან მიიჭრა თებრო და მადლობა უთხრა იმ სიხარულისათვის, რაც მისმა გულმა განიცადა. შემდეგ კონკრეტი გახსნა. წერილთან ერთად ათი ცალი ას-ას მანეთიანი ამოიღო.

ზურია სწერდა:

„კარადა, დედი, შენი დარიგების თანახმად, სოფლის სამკითხველოს ვუსახსოვრე. გახსოვს, წამოსვლისას მარიგებდი „ადიდე სოფელი“ და, აი, მეც მცირედი წვლილით ვეცი პატივი სოფელს.“

ფულს გიგზავნი. იგი ჯილდოდ მომცეს კარადის გაკეთებისათვის. მოიხმარე სურვილისამებრ. დედი, იყავი სულ კარგად და კარგად. მალე გინახულებ. მომიკითხე ყველა, ვისაც ვიცნობ.“

დედას სიხარულის ცრემლები ჩამოსცივდა და როცა კარადა ჩამოიღეს, მივიდა და კარადა თითებით მოშინჯა.

— შენი გამკეთებლის თითებს ვენაცვალე! გენაცვალე, შვილო ზურია!—ისე წამოიძახა, თითქოს კარადა კი არა, ზურია მდგარიყოს მის წინ.

ხალხმა დიდი ამბით შეიტანა კარადა სამკითხველოს ოთახში.

თებრომ ქალაქელი სტუმრები შინ მიიწვია. ქალაქელებს მეზობლებიც მიემატნენ.

თებროს აქამდე ჩაჩუმებული ოთახი კახური სიმღერების ტკბილი ხმით აივსო.



გიორგი კაჭახიძე

დამშვენდნენ, ლალად იხარეს
ზრუნვით დარგულმა ხეებმა,
ღობეს აშორდნენ, და სიო
შეეთამამა, შეება.

ხეებს ეამათ, ამღერდნენ,
ღიმით შეგვხედეს უმაწვილებს,
სკოლის პალიდან ეზოში
ტოტებიც გადმოგვაწვდინეს.

მგზავრი ჩერდება, შეჰხარის,—
კარგებს ვინ არ ჰყავთ შემქმები!
მათში ხარობენ, ლალობენ
ჩემი დარგული ნერგები.


ჩქარობენ დავაჟკაცებას,—
მათ მოვლას ვინ არ ინატრებს!

გულგრილად გვერდს ვერ ჩავუვლი
ბალის ამ ჭაბუკ ბინადრებს;

ხან აქ ატმის ხეს მივხედავ,
ხან იქ აქოჩრილ ალუბალს
და დიდხანს, დიდხანს ყურს ვუგდებ
მათი ფოთლების საუბარს.

მაგრამ მე ახლა მაქვს უფრო
სხვა საამაყო სათქმელი:
დღეს კომკავშირში მიმიღეს,
შემყვა ხუთების ნათელი
და შიგ ერთ სხივად ბრწყინავდა
ნორჩი მებაღის სახელი.





ავტოქარხნის კომკავშირელები

მარლამჭუსრული

მშენებლობა ჩვენი დროის ქუთაისი. იგი ახლა საქართველოს მეორე უდიდესი სამრეწველო ქალაქია. სტალინური ხუთწლიელების განმავლობაში მას ბევრი ახალი ფაბრიკა-ქარხანა შეემატა. ახლო მომავალში ქუთაისის დაამშენებს საბჭოთა საქართველოს სიამაყე — ავტოქარხანა.

1945 წლის აგვისტო იღვა, როცა მაღლაკში მოვიდნენ ქუთაისის ავტოქარხნის მშენებლები. მხოლოდ ტრიალი მინდორი დახვდათ. დიდხანს არ გაუვლია, საძირკველი ჩაუყარეს პირველ შენობას, ააგეს დროებითი საცხოვრებლები, შემდეგ კი უფრო ფართოდ გაიშალა მომავალი გიგანტის მშენებლობა.

ქუთაისიდან მაღლაკამდე ხუთი კილომეტრი მანძილია. მალე თანდათანობით წაიშლება მათ შორის არსებული ზღვარი. გაიზრდება მაღლაკი. იგი ქუთაისს შეუერთდება, რო-

სურათზე — ქუთაისის ავტოქარხნის საიარაღო სამკროს კომკავშირელი ინჟინერი ია ნაცელიშვილი აცნობს ელექტროსტუმბის კომკავშირელ მხეხაუს ამირან კობიას.

გორც ქართული ავტომობილის პირველი ქალაქი.

ორმოცამდე საამქრო ექნება ქუთაისის ავტოქარხანას.

* * *

მომავალ სატვირთო ავტომობილს უმთავრესად ახალგაზრდა მუშები გააკეთებენ. აქ ბევრი მოწინავე კომკავშირელია. არც იყ დიდი ხანია, რაც სოფლებიდან და სახელოსნო სასწავლებლებიდან მოვიდნენ ეს ახალგაზრდები წარმოებაში სამუშაოდ.

ლენინურ-სტალინურმა კომკავშირმა აღზარდა ახალგაზრდა ინჟინერ-არქიტექტორი გიორგი ჩიგოგიძე. იგი ომის დაწყებისთანავე გაიწვიეს საბჭოთა არმიის რიგებში. ფრონტის მრავალ უბანზე იბრძოდა სამშობლოს ეს პატრიოტი. მოიერიშე თვითმფრინავით ანადგურებდა გერმანელთა ურდოებს მტრის მიერ დაპყრობილ ტერიტორიაზე. გათავდა ომი და გიორგიც სამშობლოში დაბრუნდა, ახლა იგი ავტოქარხნის აქტიური მშენებელია.

ავტოქარხანაში არიან აფხაზეთიდან ჩამოსული ძმები, კომკავშირელები შოთა და ვახტანგ ბერიები, აქ მოსვლამდე ისინი გულრიზში რაიონის სოფელ ვარჩეში მუშაობდნენ. მათ უყვარდათ სიმინდის ყანა, ჩაისა და ნარინჯოვნების პლანტაციები. ჩინებულად უვლიდნენ უხვადმსხმოიარე ლიპონის ხეებს. ძმები მოვიდნენ ავტოქარხანაში და მართლა სამაგალითონი ვახდნენ. მათ მოკლე ხანში ისწავლეს არჩეული ხელობა. შოთა ახლა ზეინკალია, ვახტანგი კი — ხარატი. მუდამ გადამეტებით ასრულებენ გეგმას. კომკავშირელი ძმები საზოგადოებრივ მუშაობაშიც კარგად გამოიწაფნენ. ხშირად გამოდიან სიტყვით საწარმოო თათბირებსა და საზეიმო კრებებზე. ისინი მთელი მონდომებით ასრულებენ ყველა კომკავშირულ დავლებას საყვარელ ქარხანაში.

* * *

ჩამომსხმელ საამქროში ერთად მუშაობს სამი კომკავშირელი. ისინი წულუკიძის რაიონის სოფელ კინჩხიდან არიან, ავტოქარხნის სახელოსნო სასწავლებელში სწავლობდნენ. ახლა კი მომავალი ავტომობილის ზოგიერთი ნაწილის ყალიბს აკეთებენ.

— აბა, ერთი ნახეთ როგორი ბიჭებია! ტანით პატარები არიან, მაგრამ ამათ რომელი ოქრო შეედრება! ოღონდ სამუშაო მიეცით და მეტი არაფერი უნდათ, როცა აქ მოვიდნენ, წარმოების არაფერი გაეგებოდათ. ახლა კი სიჩქარის კოლოფსაც აკეთებენ. აი, მათი ნამუშევარიც! — მეუბნება ავტოქარხნის დირექტორის მოადგილე ინჟინერი გიორგი კაკაბაძე და ხელით იღებს ახლახან ჩამოსხმულ თუჯის ერთ ნივთს, რომელსაც ქართული ასოებით აწერია „ჩუთისი“.

— ეს პატარა ბიჭუნა, — განაგრძობს იგი, — წელამდე ძლივს მწვდებოდა, როცა ჩემთან მოვიდა კოლმეურნეობიდან. ბედურას ჰგავდა, ახლა ისე გაიწაფა, რომ მართლა შევარდენს ემსგავსება. ილია კუხალეიშვილი გახლავთ. ცეცხლია, ცეცხლი!

— ესეც კიდევ ჩვენი ოქროა — გიორგი გუგულავა. გვარიც კარგი აქვს და სახელიც, საქმე ხომ სულ უკეთესი!

— აი, ეს ყველაზე პატარა რომ არის იროდი ბზიკაძეა. მარჯან პეპლებს იჭერდა მინდორში, ახლა კი რკინასაც სულს უდგამს, მოდი და ნუ გაგხარდება, როცა ასეთი ვაჟკაცები იზრდებიან!

ინჟინერის მოსწრებელი სიტყვები ამ ახალგაზრდების თავისებური შეფასებაა. ყმაწვილები მორცხვობენ. მათ სახე უწითლდებათ, თანაც უხარიათ, რომ ასე კარგად ახა-

სიათებს ხელმძღვანელი ამხანაგი. ისინი ახლა კიდევ უფრო მეტი ხალისით, მკვირიცხლად მუშაობენ. სამივენი მიწაზე დახრილახ, ხელებიც ძავე მიწით აქვთ დაფარული. მაგრამ ეს მიწა მაღლაკური ნოდური დიდი ქართველი პოეტის აკაკის სამშობლო კუთხის საჩხერის მიწაა, რომელსაც ახლა ყალიბებად აქცევენ ჩვენი ქვეყნის შრომისძოყვარე ახალგაზრდები.

— ეს სპეციფიური ქიმიური შემადგენლობის მიწაა, — ძიამბობს ინჟინერი კაკაბაძე, — მისგან გაკეთებულ ყალიბში ჩასხმული ლითონი ფორმას არ იცვლის და არც სხვა თიხაში ირევა. ჩვეულებრივი წითელი მიწა აფურ-კრამიტისა და ყოველგვარი საოჯახო ტურტლულის გასაკეთებლად ვარგა, ლითონის ჩასასხმელი ყალიბისათვის კი იგი არ გამოდგება, რადგან დიდ ტემპერატურას ვერ აიტანს. აკაკის სამშობლო კუთხის მიწა კი უდიდეს სიმხურვალეს უძლებს.

ავტომობილს მრავალგვარი ნაწილი სჭირდება. ბევრი მათგანი ცალკე უნდა ჩამოსხას. ჯერ საამისოდ გამოსადეგი თიხისაგან უნდა გაკეთდეს ყალიბი, მერე კი შიგ ჩაისხას გამოდნობილი ლითონი. ჩამომსხმელ საამქროში მომუშავე კომკავშირელებიც ასეთ ყალიბებს აკეთებენ.

ახალგაზრდები მუშაობენ სამჭედლო საამქროში. მოწინავე კომკავშირელებიდან განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევენ ძმები ტყუბები — ბენია და მიხაკო ჟორჯოლიაძეები. ისინი ისე გვანან ერთმანეთს, როგორც ერთ დაზგაზე მოჭრილი ერთნაირი დეტალები. მათ ორი წელიწადია მჭედლობას ასწავლის უფროსი ოსტატი ვიქტორ ალბული.

ამავე საამქროს სული და გულია გრიგოლ პერტახიას კომკავშირული ბრიგადა. გრიგოლი გეგმეკორის რაიონის სოფელ თამაკონის კოლმეურნეობიდან არის. იგი წულუკიძის სახელოსნო სასწავლებელში სწავლობდა. მისი ბრიგადის ორი ახალგაზრდა წევრი გიორგი აბულაძე და იმედი ბელიაც მოწინავე კომკავშირელი მჭედლები არიან. მუდამ წითელ დაფაზეა გამოცხადებული პერტახიას კომკავშირული ბრიგადა.

აი, ქურიდან გამოიღეს გახურებული ფოლადი. გრდემლზე დასდეს, ცეცხლის ალი ეკიდება, ურტყამს უხარმაზარი ურო და უთვალავ ნაპერწკალს აფრქვევინებს. ახალგაზრდა მჭედლის სურვილს უმორჩილდება გავარჯარებული ლითონი. მას ჯერ კიდევ არ მიუღია საჭირო ფორმა, მაგრამ სიმხურვალე უკვე თანდათან განელებია. ვაცივების საშუალებასაც არ აძლევენ, ისევე ავდებენ ქურაში. გუზგუზებს ცეცხლი. გრდემლის წინ

დგას თვითონ ცეცხლი — პერტახია. შუბლი-
დან ჩამომდინარე — ოფლის თბილ წვეთებს
იწმენდს. ეს მისი წუთიერი შესვენებაა. მა-
ლე გახურდება ფოლადი და კვლავ დაიწყებს
მედგარ ბრძოლას ახალგაზრდა ბრიგადირი,
თავდადებული შრომით მოდრეკს უმტკიცეს
ლითონს მტკიცე ქართული კომკავშირელი.

* * *

ქუთაისის ავტოქარხნის მოწინავე ახალ-
გაზრდობაზე კიდევ ბევრის თქმა შეიძლება.
გვარებით მაინც დავასახელოთ რამდენიმე
რჩეული. მუდამ გადაშეტებით ასრულებენ
საწარმოო გეგმებს კომკავშირელები შოთა
ჯანელიძე, ოთარ თევდორაძე, ნათელა ცაგა-
რეიშვილი, კაპიტონ ნუცუბიძე, შალვა ბარ-

ბაქაძე, უუქუნა ყვანია, თეიმურაზ ჩაგუნავა,
ამირან კოხია, გივი ჯავახაძე, შოთა კობო-
ნელიძე და სხვები. ისინი სხვადასხვა საამ-
ქროებში მუშაობენ, მაგრამ ყველანი ერთნა-
დიდი საქმის — მშობლიური ავტომობილის
თავის დროზე გამოსაშვებად იბრძვიან. საა-
მაყო, რომ მათ მიერ გაკეთებულ ნაწილებს
ახლა ქართულად აწერია იმერეთის მშვე-
ნიერი ქალაქის — ქუთაისის სახელი. დიდი
სტალინის გენიით შთაგონებული ქუთაისის
ავტოქარხნის ახალგაზრდობა არ იშურებს
ძალ-ღონეს, რომ მალე მიიღოს ქვეყანამ

მალაკის ველზე შობილი
ქართული ავტომობილი.



ნორჩი მთამსვლელები მყინვარწვერზე

25 სექტემბერს დილის 5 საათზე ალპინადის ძირითადი შენაერთი მყინ-
ვარწვერის დასაპყრობად დაიძრა. ლაშქრობაში მონაწილეობას ღებულობ-
დნენ თბილისის ლ. პ. ბერიას სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახ-
ლის, სოფელ მღეთის, ანანურის, ბარისახოსა და დუშეთის საშუალო სკოლის
მოსწავლეები.

— აი, უკვე ხმაურასთან მივდებით. — უხსნიდა მათ გზადაგზა მეთაური. —
ეს კლდე ღამე იყინება, ხოლო დილით, როგორც კი მზის პირველი სხივი
დაპკრავს, ლღვება, კლდე იშლება. მაშინ აქ გავლა არ შეიძლება!

ბავშვებმა ახლეს მარჯვნივ აზიდულ კლდეს. შენაერთმა ნაბიჯს მოუჩქა-
რა, „ხმაურას“ გასცდა და თოვლიანი ველზე გავიდა.

გათენდა. მზე ამოვიდა. მოლაშქრეებმა შავი სათვალეები გაიკეთეს. აი,
მაილის გადასასვლელი. აქედან იწყება ასვლა. ძია მიტომ ასეული გააჩერა,
ყველა სათითაოდ დაათვალიერა. წრიაპები გააკეთებინა. ალპინადის მოწი-
ნავე ასეული უკვე გაემართნენ მწვერვალისაკენ.

მოსწავლეები შეუბოვრად მიიწეოდნენ წინ. უნაგირაზე ავიდნენ. მე-
თაურმა გადმოხედა ასეულს. იწყებოდა უძნელესი გზა თვით მწვერვალის
დასაპყრობად. ყინულზე ძნელი იყო ფეხის დამაგრება, მაგრამ ბავშვები წრია-
პიან ფეხს მაგრად ადგამდნენ, წერაყის მარჯვედ ხმარობდნენ და მანძილს
მეტრობით ამოკლებდნენ. წინ მიმავალ ასეულს მწვერვალზე წითელი
ღროშა აეტანა. მზის სხივებზე ბრწყინავდა იგი.


— ეაშაა! — დასძახეს მოსწავლეებმა.

აი, მწვერვალიც! ასეულის მოწინავე მთამსვლელმა უკვე შესდგა მასზე
ფეხი. მოწინავეს მოჰყვა მეორე, მესამე, ოცეულს — ოცეული, ალპინისტება
უკლებლივ ავიდნენ მყინვარწვერზე. ისინი ერთმანეთს ულოცავდნენ გა-
მარჯვებას.

5043 მეტრის სიმაღლეზე ზღვის დონიდან გაიმართა მიტინგი. მოლაშ-
ქრეებმა ტამის გრიალში მიიღეს მისალმება ჩვენი მამისა და მასწავლებლის
დიდი სტალინისადმი.

ამ ღღეს მწვერვალი დაიპყრო 502-მამთამსვლელმა. მათ რიცხვში გაბრიელ
ხერგიანის სახელობის მოსწავლეთა ასეული დისციპლინით, ამტანობითა და
ვაჟაკობით მოწინავე იყო. მოსწავლეებმა შეასრულეს ფიცი.

ეს ლაშქრობა მიეძღვნა სახელოვან ლენინურ-სტალინურ კომკავშირის
საიუბილეო თარიღს.



ზღვისპირა ქალაქში



ს იყო იენისის დაუღვევლი დღის ნაადრევი ალიონი აღუბლისფერად ამოიწვერა ზღვის გადაღმა მთებიდან, რომ ქალაქის ქუ-

ჩებს დაფლავების ხმები მოედო. თვრამეტი პიონერი ზურგზე გადაკიდულ საგზაო ჩანთებით ფეხმეწყობით მიაბიჯებდა ზღვისპირა ქუჩაზე.

ძილგამფრთხალი დიასახლისები, დიდ და მალალ თეთრად შეფეთილი შენობებიდან ფანჯრებს აღებდნენ და, საყვედურის ნაცვლად, ღმილით აცილებდნენ საყვარელ ყმაწვილებს.

ბეჯითად, მხედრულ ყაიდაზე მიაბიჯებდნენ მომავალი ალბინისტები, ნორჩი ბიოლოგები, მხატვრები, ფოტომოყვარულები...

ეს იყო მათი პირველი შორეული საოცნებო მოგზაურობა. დიდხანს ფიქრობდნენ მასზე, ზამთარში თოვლსა და ხშირ გადაუღებელ წვიმების დროს, გეგმებს აღგენდნენ და მარმრუტს აზუსტებდნენ. მერე წარმატებით დაამთავრეს სასწავლო წელი. დადგა მშვენიერი, ზღვისპირის ლამაზი ზაფხული. დაუსრულებელ კლოდინით წსანატრი, ბევრჯერ სიზმრად ნახული იენისის ლამაზი დილა გათენდა.

იმ დღეს ნორჩი მოგზაურების თვალწინ

სურათზე — კომკავშირის XXX წლისთავის აღსანიშნავად სოხუმის ვაჟთა სკოლის მოსწავლეებმა ი. ნეესკიმ, ჯ. ივანიდისმა, ა. კაკუტემა და სხვ. დაამზადეს რადიომიმღები და ხომალდის მკაცრი.

გუმისტას მომხიბვლელი ხეობის სურათი გადაიშალა. ნაშუადღევს, მუშაობის დამთავრებისას, პიონერები ეწვეენ სოხუმჰქესის მშენებლებს, დაათვალიერეს სადგური და ღამე იქ გაითენეს.

23 იენისის პიონერები უღელტეხილ ღოუზე ავიდნენ, ყველას პიონერმა პავლე ინგლიზიანმა დაასწრო და პირველმა დაადგა ფეხი თოვლიან ადგილს. ეს იყო ნორჩი მოგზაურების პირველი გამარჯვება. უღელტეხილზე ჯერ კიდევ თოვლი იყო და მწყემსები აქ პიონერებზე მხოლოდ ორი დღით ადრე ასულიყვნენ.

ის ღამე პიონერებმა უღელტეხილის მახლობლად ტყისპირად კოცონთან გაატარეს კარაგეში.

აქედან ისინი სოფელ ფსხუსკენ გაემართნენ. პიონერი გიორგი ჩისტოვი თავის დღიურში სწერს: „ორ მდინარეს ბზიფსა და ბაუს შორის მდებარეობს სოფელი ფსხუ. აქ ბინა სკოლის შენობაში დავიდევით. სოფელში ორასი მცხოვრებელი იქნება. ლამაზია ეს სოფელი, განსაკუთრებით მის მახლობლად მდებარე „ვერცხლის მთა“, ასე ეძახიან მას ფსხუელები. სკოლის დირექტორმა საჯაიამ და მასწავლებელმა ნოვიკოვმა ბევრი საინტერესო რამ გვიამბეს. ჩვენ გზად ვნახეთ ნაომარი კვალი, იარაღის ნამსხვრევები, ორმოები. ერთი კვირა იყვნენ აქ გერმანელები.“

ახლა ფსხუმში ცხოვრება დუღს. რადიო და თვითმფრინავი აკავშირებს მას ჩვენ

ქვეყნის ცენტრებთან. აქ ერთი წუთითაც კი ვერ იგრძნობთ, რომ სადღაც კავკასიონის მთაგრეხილებში შეყუჟულ პატარა სოფელში ხართ!

მოგზაურობა თანდათან საინტერესო და მიმზიდველი ხდებოდა. პიონერებმა გადაიარეს ალპური საძოვრები. ერთ დღეს განსაკუთრებით გაიხარეს. ეგგენი ალენიკოვი იმ დღეს ტყისპირად ფიხს ავროვებდა კოცონისათვის. უცებ ტყიდან შველი გამოიჭრა, სულ ახლო პიონერთან შედგა. მიდამო დაათვალიერა და ისევ ტყეს შეაფარა თავი.

დაუვიწყარი შთაბეჭდილება დასტოვა ბავშვებზე ტბა რიცამ და მისმა მიდამოებმა. აქედან ისინი ავალხარას მინერალურ წყაროებს ეწვიენ. იმ დღესვე, 30 ივნისს, ნორჩი მოგზაურები მანქანით სოხუმს დაბრუნდნენ.

ეს დაუვიწყარი მოგზაურობა სოხუმის პუშკინის სახელობის ვაჟთა მეორე სკოლის პიონერებმა სახელოვანი კომკავშირის ოცდაათი წლისთავს მიუძღვნეს.

* * *

სექტემბერში კვლავ სკოლას დაუბრუნდნენ მესხეთე კლასელები. ამ რაზმის პიონერებმა გადაწყვეტილება მიიღეს საკუთარი ძალით დაემზადებიათ რადიომიმღები, ნამდვილად ისეთი, როგორიც ყოველ ოჯახში დგას.

გაკვეთილების შემდეგ დიდხანს მსჯელობდნენ პიონერები: ბორის თურქია, ამირან ჩაჭყებია, ვასო ზარანდია. მეორე შეთანხმდნენ. სხვებიც მონაწილენი გახდნენ ამ საქმისა. დიდი იყო გატაცება, ფიცრებს აშალაშინებდნენ, ყუთს წედავდნენ, ნაწილები დახრანეს. ნათურები იშოვეს.

კვირა, 17 ოქტომბერი არასოდეს არ ავიწყდებათ მეშვიდე რაზმის პიონერებს. საღამოს პიონერთა ოთახში დიდი ფაციფუცო იყო. უნდა გაესინჯათ რადიომიმღები. განსაკუთრებით გიორგი ცხაკაია დღეაღდა, რომელიც ხელმძღვანელობდა ამ საქმეს.

ჯუმბერ ივანილისმა სინათლე ჩართო, აპარატი მომართა, ლაპარაკობდა თბილისის კვევით ისმოდა დიქტორის ხმა.

ყმაწვილებმა სიხარულით ტაში შემოკრეს. მეორე დღეს ხუთოსან კომკავშირელებს შემვიდე რაზმის პიონერებმა საზვიამოდ გადასცეს თავიანთი საჩუქარი კომკავშირის საიუბილეო თარიღის აღსანიშნავად.

* * *

თექვსმეტი პიონერი მონაწილეობდა სკოლაში გამართულ საქადრაკო ჩემპიონატში, რომელიც კომკავშირის ოცდაათი წლის საზვიამო თარიღთან დაკავშირებით ჩატარდა. მეშვიდე კლასელმა ა. კაკუტემა თავი ისახელა ამ საქადრაკო ბრძოლაში.

* * *

კონცერტი, რომელიც იუბილეს მოუმზადეს პიონერებმა, ძალიან საინტერესო გამოდგა. საღამო „სოხუმის მეორე ვაჟთა სკოლის მარშით“ დაიწყო. ასე უწოდებენ მოსწავლეები ამ მარშს. მისი სიტყვები კომკავშირელ მიხეილ გორფინკელს ეკუთვნის, მუსიკა ამ სკოლის ყოფილმა მოსწავლემ გენადი წულაიამ დასწერა. იგი ხუთოსან იყო. ახლა ოდესაში სწავლობს, კონსერვატორიაში.


შემდეგ გუნდმა შეასრულა სიმღერები: „გამარჯვების გაზაფხული“ და „აფხაზეთი“, აგრეთვე „სიმღერა ბერიასადმი“, მომხიბლავად წკრიალებდა პიონერთა ხმები:

„შემოგხარით ჯულაშვილის
მზისქვეშ ვაფურჩქნილები
ქართლ-კახეთის, იმერეთის,
სამეგრელოს შვილები“.

წინა საიუბილეო დღეებში ბევრი საუკეთესო სოხუმელი პიონერი გახდა კომკავშირელი.

დავით ზაგათაძე





„ზის-110“

საბჭოთა ავტომობილები

დიდ სამამულო ომამდე საბჭოთა კავშირში ოთხი საავტომობილო ქარხანა მუშაობდა. წელიწადში ეს ქარხნები 200 ათასზე მეტ ავტომობილს უშვებდნენ.

1942 წლის მძიმე დღეებში, როდესაც სტალინგრადთან მიმდინარეობდა გააფთრებული ბრძოლები გერმანელი-ფაშისტ დამპყრობლების წინააღმდეგ, საბჭოთა საავტომობილო ქარხნებში არც დღე და არც ღამე არ ცხრებოდა მუშაობა. კონვეიერებიდან გადმოდიოდა ათასობით ავტომობილი, რომლებიც უმალ მიემუშურებოდნენ ფრონტზე, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, ახალ მშენებლობებზე. ახალი ქარხნები შენდებოდა ურალზე, ვოლგაზე, ციმბირში.

ომის დამთავრების შემდეგ ჩვენი ქვეყანა მშვიდობიან მშენებლობას, ახალი სტალინური ხუთწლედის გეგმის განხორციელებას შეუდგა. ამ ახალი ხუთწლედის ბოლოსათვის საბჭოთა კავშირში 10 საავტომობილო ქარხანა იმუშავებს. 1950 წელს ეს ქარხნები ნახევარ მილიონ ავტომობილს გამოუშვებენ. ამრიგად, საბჭოთა საავტომობილო მრეწველობა პირველ ადგილზე გამოვა ევროპაში.


მოსკოვის სტალინის სახელობის საავტომობილო ქარხანა, ქუთაისის და დნებროპეტროვსკის ქარხნები გამოუშვებენ სამნახევარ ტონიან ტვირთმზიდობის სატვირთო ავტომობილს „ზის-150“.

სამ ტონიან ტვირთმზიდობის სატვირთო ავტომობილს „ზის-5“-ს, რომელმაც უდიდესი

სამსახური გაუწია ჩვენს ქვეყანას დიდი სამამულო ომის დროს ზურგში და ფრონტზე, ახლა ურალის საავტომობილო ქარხანა უშვებს. ერთნახევარ ტონიან ტვირთმზიდობის სატვირთო ავტომობილს „გაზ-აა“-ს ულიანოვსკის ქარხანა ამზადებს და ორნახევარ ტონიან ტვირთმზიდობის სატვირთო ავტომობილს „გაზ-51“ — გორკის მოლოტოვის სახელობის საავტომობილო ქარხანა.

იაროსლავლისა და მინსკის ქარხნები ამზადებენ მძიმე ავტომობილებს „იზ-200“. მათი ტვირთმზიდობა 5-7 ტონას აღწევს. იაროსლავლის ქარხნის ავტომობილებზე გამოსახულია დათვი, მანქანის სიმძლავრის განსასახიერებლად.

ნოვოსიბირსკის ქარხანა ამზადებს სატვირთო ავტომობილს „ზის-253“. მისი ტვირთმზიდობა სამნახევარ ტონას შეადგენს და ბევრი რამ აქვს საერთო „ზის-150“-თან.



„მოსკვიჩი“



ამრიგად, საბჭოთა საავტომობილო ქარხნები ამზადებენ მრავალნაირ სატვირთო ავტომობილს შემდეგი ტვირთშიდაობით — 1 1/2 ტონიანი („გაზ-აა“), 2 1/2 ტონიანი („გაზ-51“), 3 ტონიანი („ზის-5“), 3 1/2 ტონიანი („ზის-150“ და „ზის-253“), 5-7 ტონიანი („იზ-200“).


სართლიად განახლებულია საბჭოთა მსუბუქი ავტომობილები. „ზის-101“, „მ-1“ და „კიმ-10“ უკვე მოძველდნენ. საბჭოთა ქალაქების ქუჩებში ახლა მოძრაობენ უმადლესი კლასის საბჭოთა ავტომობილები: „ზის-110“, „პობედა“ და მცირელიტრაჟიანი „მოსკვირი“.

„ზის-110“ შეიქმნა კომფორტაბელური მსუბუქი ავტომობილია. მასში ყველაფერი ისეა მოწყობილი, რომ მძღოლის მუშაობა ადვილი იყოს და მგზავრის მოგზაურობა რაც შეიძლება მოსვენებული და მოხერხებული. მოძრაობის ბერკეტები, ნაცვლად იატაკისა, საჭეს ქვეშ არის მოთავსებული. მოსახვევში მძღოლს არ სჭირდება ზუსტი გამოჰყოს ფანჯრიდან და მიმართულება აჩვენოს; ნაცვლად ამისა მსუბუქი და აწევება იგი საჭეზე მოთავსებულ სახელურს და აინთება მარცხენა ან მარჯვენა ფარანი, რომელიც, როგორც კი მანქანა საჭირო მიმართულებით მოუხვევს, ავტომატურად ჩაქრება. ავტომობილის ფანჯრის გასაღებად ან ჩასაკეტად არაა საჭირო სახელურის ბრუნვა, — საკმარისია ღილს დააჭიროთ თითი და ჰიდრაული მექანიზმი ასწევს ან ჩამოსწევს ფანჯრის მინას. ავტომობილში სამი გამთბობია, რადიომიწლები, საფერფლე, საათი, „ზის-110“ საათში 140 კილომეტრ სიჩქარეს ანვითარებს, მოძრაობს უხმაუროდ და მდოვრად.

მსუბუქ ავტომობილ „პობედას“ ისეთივე ძალის ძრავა აქვს, როგორც „მ-1“, ესე იგი, ის 50 ცხენის ძალისაა, მაგრამ ნაკლებ საწვავს ხარჯავს და საათში 120 კილომეტრ სიჩქარეს ანვითარებს. მანქანის დიდ სიჩქარეს, პირველ ყოვლისა, ხელს უწყობს მისი ჰაერამცდენი მოყვანილობა. მოძრაობისას შემხვედრი ჰაერი სრიალებს ავტომობილის მომრგვალებულ, გლუვ ზედაპირზე. ამრიგად,

მანქანა ჰაერის წინააღმდეგობის დაძლევაზე შედარებით ნაკლებ ძალას ხარჯავს, ვიდრე ძველი ავტომობილები, რომელთაც კუთხვანი მოყვანილობა აქვთ. ამის მიხედვით მცირდება საწვავის ხარჯებიც. „პობედას“ არა აქვს გამოწვეული ფრთები და საფეხურები. მთელი ფართობი გამოყენებულია მგზავრებისათვის. მანქანა იმდენად დაბალია, რომ მასში შესვლა-გამოსვლა ადვილად შეიძლება უსაფეხუროდ.

„მოსკვირი“ ყველაზე მცირე მსუბუქი ავტომობილია ჩვენს ქვეყანაში. მასში ოთხი ადამიანი ეტევა. „მოსკვირი“ ავტომობილ „მ-1“-ზე ორჯერ ნაკლებს იწონის. 1950 წელს მოსკოვის მცირელიტრაჟიანი ავტომობილების ქარხანა 200-მდე ასეთ მანქანას გამოუშვებს ყოველდღიურად.




„პობედა“

გარდა ამ ავტომობილებისა, ჩვენი დიდი ქალაქების ქუჩებში მოძრაობს მრავალადგილიანი ავტობუსები „ზის“.

ახალი სუთწლეულის ბოლოსათვის ავტომობილების რაოდენობა საბჭოთა ქვეყანაში ორჯერ გაიზარდება ომის წინა დროსთან შედარებით. ეს იქნება ახალი, ტექნიკურად სრულქმნილი მანქანები, მაგრამ ჩვენი კონსტრუქტორები არ კმაყოფილდებიან მიღწეულით. ისინი კვლავ დაუცხრომლად, განაგრძობენ მუშაობას არსებული ავტომობილების გასაუმჯობესებლად: მუშავდება ახალი მოდელები, იქმნება სხვადასხვა სახის მანქანები სპეციალური მიზნებისათვის, სახალხო მეურნეობის მრავალგვარი საჭიროებისათვის.

შ. სიმონელი

ნახატები პ. გიგოლაშვილისა



„ზის-150“



1. გმირი ქალაქი, 2. მოსკოვის კომკავშირის ერთ-ერთი ორგანიზატორი, 3. გამოჩენილი საბჭოთა ბიოლოგი, 4. სამოქალაქო ომის გმირი, პეტროგრადელი კომკავშირელი, 5. გმირი პიონერი, მოკლული ხალხის მტრების მიერ, 6. კომკავშირის თაოსნობით აშენებული ქალაქი ჩრდილო ციმბირში, 7. პეტრას ცვირკას მოთხრობის სათაური, 8. ცნობილი სომეხი მწერალი, 9. პილროელსადგური საქართველოში, 10. მოკავშირე რესპუბლიკა, 11. მდინარე ციმბირში, 12. გამოჩენილი საბჭოთა მწერალი, 13. ცნობილი საბჭოთა დიპლომატი, 14. რევოლუციის ლეგენდარული კრესერტი, 15. ციფრი, 16 კომკავშირელთა თაოსნობით აშენებული ქალაქი შორეულ აღმოსავლეთში, 17. „მოლოდია გვადიას“ ხელმძღვანელის სახელი, 18. ბუნების დიდი გარდამქმნელი, 19. სამამულო ომის გმირი პარტიზანი ქალი, 20. მდინარე შორეულ აღმოსავლეთში, 21. ქალაქი ბალტიისპირა რესპუბლიკაში, 22. ცნობილი რუსი მხატვარი, 23. ქიმიური ელემენტი, 24. ცარიცინის დაცვის გმირი კომკავშირელი, 25. საბჭოთა კავშირის მარშალი.



შინაარსი

- | | |
|---|----|
| 1. ი. გრიშაშვილი — პიონერის ნატვრა (ლექსი) | 1 |
| 2. სახელოვანი გზა (სარედაქციო წერილი) | 2 |
| 3. ბ. ბეთანელი — ლაერენტი ბერიას პიონერებისაგან (ლექსი) | 3 |
| 4. ო. ნემსაძე — პიონერები კომკავშირის ცელაა (წერილი) | 4 |
| 5. გ. ფირცხალავა — კომკავშირი სოციალისტურ მშენებლობაში (წერილი) | 6 |
| 6. ვ. მაიაკოვსკი — ახალგაზრდობა (ლექსი) | 9 |
| 7. ა. კინწურაშვილი — კომკავშირი სამამულო ომში (წერილი) | 10 |
| 8. ზ. შერაზადიშვილი — შეგირდები (ლექსი) | 14 |
| 9. ე. ზედგინიძე — კომკავშირელთა ფიცი (მოთხრობა) | 15 |
| 10. კ. გოგიაშვილი — კრასნოდონელი გმირები (წერილი) | 18 |
| 11. ი. ლაცაბიძე — პირველი საჩუქარი (მოთხრობა) | 20 |
| 12. ვ. კაქაბიძე — ნორჩი მებაღე (ლექსი) | 24 |
| 13. ვ. აურული — ავტოქარხნის კომკავშირელები (ნარკვევი) | 25 |
| 14. დ. შამათავა — ზღვისპირა ქალაქში (ნარკვევი) | 28 |
| 15. შ. სიმონელი — საბჭოთა ავტომობილები (წერილი) | 30 |

დანართზე ლექსი „პიონერების სიმღერა“ რ. მარგაინისა.
 გარეკანის პირველ გვერდზე ნახატი „კომკავშირელები“
 ეკუთვნის მხატვარ ალ. გიგოლაშვილს.
 გარეკანის მე-3 და მე-4 გვერდზე „კომკავშირული მარში“ — მუსიკა ო. თაქთაქიშვილის, სიტყვები ა. აბშილაძის.

პასუხისმგებელი რედაქტორი **გ. კახახიძე**

სარედაქციო კოლეგია: **ი. აბაშიძე**, აკად. **ნ. ბერძენიშვილი**,
შ. გვინიძე (პმგ. მდივანი), **ა. გიგოლაშვილი** (სამხატვრო რედაქტორი), **გ. ვარდაშვილი**,
პროფ. გ. თავაძეშვილი, **პ. მეტრეველი**, **ნ. ნაკაშიძე**.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტელ. 3-81-85

კომკავშირული მარში

მუსიკა ოთარ თაძთაძივილინსა

სიტყვები აზირან ავალიაგასი



Coro a 2 voci *Marchiale*

Pianoforte

ჩვენ დრო მას მტკა კელ მვა ვი ტეთ ა - ლის ვერ დრო-მას

ნა მას არ ვუ და ლა ცებთ ა - რას დროს გვევი ან ლე ნა' ნის

თა მ მას არ ვუ-და ლა ცებთ ა - რას დროს გვევი ან ლე-ნი-ნის

(დასასრული შემდეგ გვერდზე)